ერი

№ 21 კვირა 27 თიბათვე № 21

1910 წ. საპოლიტიკო, სამეცნიერო და სალიტერატურო ჟურნალი 1910 წ.

შინაარსი:

დაკვირვებანი — **შინაურისა**; მოგონებანი — **მგალობლიშვილისა**; მგზავრის სიმღერა — **ტაბიძესი**; ერთხელ (ესკიზი) **ია ეკალაძესი**; წერილი დასავლეთ საქართველოდან—**აქელისის**; ბედი მგოსნისა **ა. შანშიაშვილისა**; ცამ მოიქუშა—**გ. შიხიანისა**; ცრუმენტელა—**ვ. გუნიასი**.

რედაქცია უმორჩილესად სთხოვს ხელის-მომწერთ, ხელის მოწერის ფულის შემოტანა დააჩქარონ.

დაკვირვება

იშვიათად მოიპოვება დღეს ისეთი მკითხველი. რომელსაც არ წაეკითხოს შერლოკ ჰოლმსის ამბები ან არ გაეგონოს მაინც მისი სახელი. არა მგონია, რომელსამე მწერალს იმდენი მიმბაძველი გამოსჩენოდეს, რამდენიც გამოუჩნდა ინგლისის მწერალს, კონან დოილს, რომელმაც შერლოკ ჰოლმსის ტიპი შეჰქმნა პირველად. მაგრამ მიმბაძველობითა და ბაზრულის მოსაზრებით შექმნილი „ლიტერატურა ჰოლმსისა» ღირსებით დიდად ჩამოუვარდება თვით ორიგინალს. რამდენადაც უკანასკნელი ფრიად საინტერესო და საგულისხმიეროა, იმდენად პირველი მდარე და ლიტერატურულ ღირსებას მოკლებულია. ჩემის აზრით, ვინც დაფიქრებით კითხვა იცის, ბევრ რამ საგულისხმიეროს ჰპოებს კონან დოილის ნაწერებში.

არის ერთი ძვირფასი თვისება ადამიანისა, რომლის დაფასებასაც მკითხველი ისწავლის, თუ დოილის ნაწერებში ამბის გარეგან მხარეს კი არ მიაქცევს მთელ თავის ყურადღებას, არამედ უფრო ნაწარმოების შინაგან ლოღიკას ჩაუფიქრდება. ადამიანის ამ ძვირფას და ცხოვრებაში ფრიად სასარგებლო თვისებას დაკვირვების ნიჭი ეწოდება. ჰოლმსის ყველა ამბები ლოღიკურად მხოლოდ და მხოლოდ დაკვირვებაზეა დაფუძნებული, ყველა იმ გასაშტერებელ საქმეებს, რომელთა აღწერითაც სავსეა დოილის ნაწარმოები, ჰოლმსი მხოლოდ იმის მეოხებით ასრულებს, რომ დაკვირვების ნიჭი დიდად აქვს განვითარებული.

ერთ ადგილს ამოვწერთ, სადაც თვით ჰოლმსი მარტივად განმარტავს თავის «სასწაულთმოქმედებას.»

* *
*

კარგა ხანმა გაიარმ, რაც შერლოკ ჰოლმსი აღარ მენახა, — სწერს ექიმი ვატსონი. ჩემმა დაქორწინებამ როგორღაც ერთმანეთს დაგვაშორა. ოჯახურმა ბედნიერებამ, ახალმა მოვალეობამ და მასთან შეკავშირებულმა ზრუნვა—საქმიანობამ მთელი ჩემი დრო დაისაკუთრა და ჰოლმსს დამაშორა, თავის მხრივ ჰოლმსი, რომელიც ბუნებით ნამდვილი ბოჰემიელი იყო და ხალხთან მისვლა-მოსვლა საშინლად ეჯავრებოდა, ცხოვრობდა კარჩაკეტილი თავის სახლში, ბეიკერის ქუჩაზე; ხან თავის ძველ წიგნებში იყო ჩაფლული, ხანაც კოკაინის გავლენას სცდიდა თავის თავზე და ხან კიდევ ოცნებობდა თავის გამოსაჩენ—სასახელო საქმეებზე...

ერთ საღამოს, — მახსოვს, ეს იყო 188... წ. 20 მარტს, — ერთი ავადმყოფის გაშინჯვის შემდეგ ბეკერის ქუჩით შინ ვბრუნდებოდი. როგორც კი გავუსწორდი ჰოლმსის სახლს, რომელთანაც ჩემი ცხოვრების მრავალგვარი მოგონებაა შეკავშირებული, შერლოკის ნახვის უძლეველმა სურვილმა ამიტანა,— მომინდა გამეგო, თუ რას ანდომებდა თავის არა ჩვეულებრივ ნიჭს ჩემი მეგობარი.

ზარი დავრეკე. მოსამსახურემ კარი გამიღო და შემიყვანა დარბაზში, რომელიც ოდესღაც — როცა შერლოკთან ვცხოვრობდი — ჩემიც იყო.

შერლოკმა მხიარულად ვერ მიმიღო, გარეგნობით მაინც, თუმც მგონია, გულში კი გაეხარდა ჩემი მისვლა, თითქმის არც კი დამელაპარაკებია, — თითით მიჩვენა სავარძელი; გადმომიგდო სასიგარე, თითით მიჩვენა ერთ კუთხეში ლიქორით სავსე ბოთლი და მეორე კუთხეში სპირტქურა (sic: სპიჩკა). შემდეგ თვითონ ჩამოჯდა ბუხრის წინ, ფეხები გაშოტა და დამაშტერდა.

— ცოლიანობა მოგხდომია, ვატსონ, — მით-

ხრა მან, — დარწმუნებული ვარ, წონაში შვიდი გირვანქა და ნახევარი უნდა მოგემატოს მას შემდეგ, რაც არ მინახავხარ.

— შვიდი გირვანქა მოვიმატე, — ვუპასუხე მე.

— მართლა? მეკი მეგონა, ამაზე მეტი მოიმატე. ახლაც მგონია, რომ შვიდ გირვანქაზე რამდენიმე გრამით მაინც მეტი უნდა იყოს. ამასთან ვხედავ ჩემო ვატსონ, რომ ხელახლა ექიმობისთვის მოგიკიდნიახელი, ჩემთვის კი ამაზე არაფერი გითქვამ.

— მაშ საიდან იცი, რომ ისევ ექიმობა დავიწყე?

— მე ვხედავ, ანუ უკეთ ვთქვათ, დასკვნა გამომაქვს იქიდან რასაც ვხედავ. ამ უკანასკნელ ხანებში შენ ხშირად დასველებულხარ და მოსამსახურეც ყოველად უხეირო გყოლია.

— ჩემო ძვირფასო ჰოლმს, — წამოვიძახე, — ეს მართლა საკვირველია! შენ რომ რამდენისამე საუკუნის წინეთ დაბადებულიყავი, უეჭველად კუდიანად ჩაგთვლიდნენ და ცოცხლად დაგწვავდნენ. მართლაც, უკანასკნელ ხუთშაბათს მე სოფლად წასვლა მომიხდა და შინ სულ მთლად დასველებული და ტალახში ამოსვრილი დავბრუნდი. მაგრამ დღეს მაშინდელი ტანისამოსი არ მაცვია და მიკვირს, ჩემი დასველების ამბავი როგორ გამოიცანი. ჩემი მოსამსახურე გოგოც, მარიამი, მართლა ყოველად უხეიროა და ჩემმა ცოლმა კიდეც დაითხოვა, მაგრამ ვერ გამიგია, შენ ეს როგორ უნდა გამოგეცნო.

მან გაიღიმა დაცინვით და თავისი გამხდარი ხელების ფშვნეტა დაიწყო.

— ეს ძნელი არაა, – მიპასუხა მან. — შევხედავ აქედან შენის მარცხენა ფეხის წაღას, რომელსაც აშუქებს ბუხრის ცეცხლი, და ვამჩნევ, რომ იმისი ტყავი სამ ალაგას არის გასწვრივ გაჭრილი. ცხადია, ტყავი უნდა გაეფხაჭნა იმას, ვინც წაღა გაუფრთხილებლად გახეხა, როცა ირგვლივ ტალახს აცლიდა. ამ გარემოებიდან მე ორი დასკვნა გამოვიტანე: პირველი ის, რომ ცუდ ამინდში სადღაც ყოფილხარ წასული, და მეორეც, — რომ უხეირო მოსამსახურე გყოლია. ხოლო რაც შეეხება იმის გამოცნობას, რომ შენ კვლავ ექიმობა დაგიწყია, ესეც არაა ძნელი მისახვედრი, როცა ხედავ ვინმეს, რომელიც სახლში შემოდის და თან შემოაქვს იოდოფორმის სუნი. საჩვენებელ თითზე ლაქა აჩნია და ამასთან მისი ცილინდრიც სწორედ იმ ალაგას არის გამობერილი, სადაც სტეტოსკოპი — ექიმების მიერ გულის გასაშინჯად სახმარებელი იარაღი – არის ხოლმე ჩადებული.

ძალაუნებურად მეცინებოდა, როცა ყურს ვუგდებდი ჰოლმსს, რომელიც ასე მარტივად მიხსნიდა თავისი დასკვნის ბუნებრივ მექანიზმს.

— როცა ამიხსნა ხოლმე — ვუთხარი მე, — საგანი ძალიან მარტივად მეჩვენება და მგონია, რომ მეც შემიძლიან ასეთი დასკვნით ვითარების გამოცნობა; მაგრამ მიუხედავად ამისა, როგორც კი რომელიმე ახალი შემთხვევა გამოტყვრება, რაც უნდა თავი ვიმტვრიო, ვერც თავსა და ვერც ბოლოს ვერ ვუგებ, სანამ შენ თვითონ შენის მეთოდით არ გამოარკვევ მას. და თან იმასაც ვფიქრობ, რომ რასაც შენ გამოიცნობ ხოლმე, მეც უნდა შემძლებოდა იმის გამოცნობა.

— რასაკვირველია, — მიპასუხა ჰოლმსმა, როგორ მელმაც ამ დროს პაპიროსს მოუკიდა და სავარძელში გაწვა, — შენ, ჩემო ვატსონ, საგნებს უცქერი, ხედავ კიდეც, მაგრამ არ აკვირდები. მაგალითად, შენ ხშირად გინახავს კიბე, რომელზედაც ამ დარბაზში ამოვდივართ.

— ხშირად.

— რამდენჯერ?

— აბა რა ვიცი! ათასჯერ!

— მაშ მითხარი, რამდენი საფეხური აქვს ამ კიბეს?

— რამდენი? არ ვიცი!

— რა თქმა უნდა, არ იცი. იმიტომ, რომ არ დაჰკვირვებიხარ, თუმცა ნახვით ბევრჯერ გინახავს. აი, ეს არის, რასაც მე გეუბნებოდი. მე კი, პირიქით, ვიცი, რომ ამ კიბეს ჩვიდმეტი საფეხური აქვს, რადგან მე დანახვით არ ვკმაყოფილდები, არამედ ვათვალიერებ, ვაკვირდები კიდეც.

* * *

დაკვირვების ნიჭის შესახებ საუბრის გამართვა განვიზრახე და უნებურად დოილის ჰოლმსი და მისი ამბები გამახსენდა, ამონაწერი ცოტა გრძელი გამოვიდა. მაგრამ გვგონია, მისი შინაარსი თავის თავად ინტერესს მოკლებული არაა. განსაკუთრებით საგულისხმიერო უნდა იყოს იგი ისეთი მკითხველისათვის, რომელიც თვითონაც დაფიქრებულა ამ საგანზე და ჰქონდა შემთხვევა შეეგნო და დაეფასებია, თუ რაოდენ გამოსადეგია ცხოვრებაში დაკვირვების ნიჭი ადამიანისათვის.

დაკვირვება იგივე ყურადღების მიქცევა და დამახსოვრებაა. და ვისაც აკლია ეს ნიჭი, მასზე შეიძლება თამამად ვთქვათ, რომ იგი ამ სოფლად თვალხილული ბრმა არის და ვერაფერს ხედავს, როგორც საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ისე თვით ბუნებაში. ქვეყანა უფრო დიდი და მრავალფეროვანია, ვიდრე ჩვენი საცხოვრებელი ოთახი. აქ ოთხი კედელია და სულ რაღაც ოცოდე ნივთი; იქ კი ყველაფერი რთული და მრავალ მხრივია, სურათი ყოველ ფეხის ნაბიჯზე იცვლება, და ის, ვინც არ იცის საგნების დათვალიერება და დამახსოვრება, ვერაფერს დაინახავს და ვერც რამეს გაიგებს.

ყოველგვარ სარბიელზე ადამიანის საქმიანობას მხოლოდ მაშინ აქვს ნაყოფი და ბარაქა, როცა იგი დაკვირვებაზეა დამყარებული. ყოველი ახალი აღმოჩენა მეცნიერებაში, შეიძლება ვთქვათ, უმთავრესად დაკვირვების მეოხებით არის მოპოებული. მაგრამ

საჭირო არაა მეცნიერების მაგალითები. ჩვეულებრივს ყოველდღიურ ცხოვრებაშიაც აუარებელია იმის ვაჩვენებელი მაგალითები, თუ რაოდენ ხელის შემშლელი და მაზარალებელი აუყურადღებობაა და დაუკვირველობა მოქმედებაში. ვის არ უნახავს მთელი ოჯახის ნივთეულობა გადმოყრილ-გადმოხეთქებული მხოლოდ იმის გამო, რომ დიასახლისს ან მამასახლისს რომელიმე ნივთი სადმე უყურადღებოდ მიუგდია და საჭიროების დროს კი ვეღარ უპოვნია? რამდენს სახლში არ შეხვდებით ავეჯეულობას მჭვარტლით გამურულს მხოლოდ იმიტომ, რომ ანთებისას ლამპას საკმაოდ არ დაუწევენ?

რამდენ მამაკაცს ნახავთ, რომ გულზე სერთუკი ლაქებით აჭრელებული არა ჰქონდეს ჭამის დროს ხელსახოცის მიუფარებლობით? ვინ არ იცნობს თავის ნაცნობ-მეგობრებში ათსა და მეტსაც ისეთებს, რომელნიც ხუთში ოთხჯერ უეჭველად სადგურზე მატარებელს ვერ მიუსწრებენ? ვის არ უნახავს ბაზარში სახლიდან სავაჭროდ წასული მანდილოსანი კვირა-დღეს, როცა მაღაზიები დაკეტილი არის? ვინ არ შეხვედრია თავით ფეხებამდის გაწუწულ ნაცნობს ან მეგობარს, რომელსაც სახლიდან გამოსვლისას ცისთვის არ შეუხედნია, რომ დატვირთული ღრუბლები დროზე დაენახა და თვითონ ქოლგით შეიარაღებულიყო? ვინ არ იცის...

მაგრამ რა საჭიროა ამდენი წვრილმან მაგალითების ჩამოთვლა. მსგავსი შემთხვევები ყველას ბლომად ექნება ნანახი და გამოცდილიც. მხოლოდ საეჭვოა, ყველასათვის ცხადი იყოს დროსა და შრომის დანაკარგის სიდიდე, რომელიც ამგვარ დაუკვირვებლობის აუცილებელი შედეგი არის. ამ დანაკარგის დათვლა ან აწყვა და ციფრებით აღნუსხვა რომ შეიძლებოდეს, უეჭველია, ყველანი გავოცდებით და გოდებას მოვრთავდით, იმდენად დიდი და დამაფრთხობელი გამოჩნდებოდა ზარალი.

განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს აქ მოხსენებულ „სენს“ ეკონომიურ ცხოვრებაში. დღევანდელი საეკონომიო ურთიერთობა მეტად რთულია და სამეურნეო სარბიელზე მკვიდრ ნიადაგის მოპოვება ბევრგვარ ცვალებად გარემოებაზეა დამოკიდებული. ამიტომაც აქ განსაკუთრებით ღრმა დაკვირვება არის საჭირო, რომ კერძო ადამიანმა საზოგადოებრივ მოთხოვნილებას აღღო აართვას და მის შესაფერად საეკონომიო ზრუნვასა და საქმიანობას შეუდგეს. შეუცდომლად შეიძლება ვთქვათ, რომ ვისაც პრაქტიკული დაკვირვების ნიჭი არა აქვს განვითარებული, იგი ახლანდელ ცხოვრებაში ფეხს ვერ მოიკიდებს და სამეურნეო ძალას ვერ მოიკრებს.

ამ ნიჭის აღზრდა-განვითარება ერთ-ერთი საგანია ადამიანის პირად კულტურისა. საუბედუროდ, ეს ჩვენ, ქართველებს, ძალიან გვაკლია. ამას ცხადად ამტკიცებს ჩვენი მწერლობა, საზოგადოებრივი აზროვნება და საეკონომიო საქმიანობა. ქართულ სიტყვა-კაზმულ მწერლობაში ყველაზე უფრო აშკარად დაკვირვების ნიჭის სისუსტე მოსჩანს. ბუნების აღწერა, რომელიც განსაკუთრებულ დაკვირვებას მოითხოვს მწერლისაგან, შეიძლება ვთქვათ, სრულებით განდევნილია ქართულ სიტყვა-კაზმულ მწერლობიდან. ბუნების „აღწერა“ ჩვენს მწერლობაში მარტოოდენ ზოგად ფრაზებს შეიცავს. ჩვენს საზოგადოებრივს აზროვნებაშიაც მუდამ ისეთი აზრები იდგამს ფესვებს და ვრცელდება, რომელიც უცხოთაგან „ნასესხებია“ და არას დროს ჩვენს საკუთარ დაკვირვებაზე არაა დაფუძნებული. სამეურნეო ცხოვრებაშიაც იგივე დაკვირვების სისუსტე გვაბრკოლებს. საეკონომიო ასპარეზის ყოველ დარგს, რომელსაც საზოგადოებრივი მოთხოვნილება საჭიროდ ხდის, ქართველი მხოლოდ მაშინ დაინახავს და შეამჩნევს, როცა მას უცხონი მოჰკიდებენ ხელს და დაესაკუთრებიან...

დიაღ, დაკვირვების ნიჭი ძლიერი იარაღია საეკონომიო ბრძოლაში. და ამ იარაღის შეთვისება და განვითარება უმთავრესად ახალთაობის შესაფერი პრაქტიკული აღზრდით არის შესაძლებელი.

შინაური.

ᲛᲝᲒᲝᲜᲔᲑᲐᲜᲘ

I

სოფელი ძველად; სიმღერა-გალობანი, თამაშობა-გასართობი სოფლისა. აწინდელი სოფელი, მისი ჩამორჩენა.—ბავშვური მსოფლ-მხედველობა, გადმოცემული მშობელთაგან; ყველა კაცს თავის ვარსკვლავი ჰყავს, დედა-მიწა გველეშაპზე სდგას.

არც ერთმა ჩვენმა დიდებულმა მწერალთაგანმა არ დაგვიტოვა თვისი განვლილის ცხოვრების მოგონებანი. დღიურის წერა ხომ წერად არა გვაქვს. ერთად ერთმა აკაკიმ გაიხსენა თვისი წარსული და მშვენიერად, **აკაკურად** გადმოგვცა მოგონებანი თავისი დიდებული ცხოვრებისა. ყველა კაცის ცხოვრებაში, რასაკვირველია, და განსაკუთრებით იმ კაცისა, რომელიც შემდეგ ასე თუ ისე გამბდარა საზოგადო მოღვაწე, თუ მწერალი, ბევრი რამ საგულისხმო და საყურადღებო მოხდებოდა. „აწმყო, შობილი წარსულისაგან, არის მშობელი მომავლისაო“, ნათქვამია. ყოველი საზოგადო მოღვაწე, თუ ლიტერატორი რომ გაგვაცნობდეს თავისს წარსულ ცხოვრებას, ნანახს და გაგონილს, ჩემის აზრით, ეს დიდი განძი იქნება ჩვენის აწმყოსა და მომავალისათვის.

მე, თქვენმა მონამ და მოსამსახურემ, განვიზრახე ფრიად მძიმე საქმის შესრულება: მოვიგონო ჩემი წარსული და გადავცე ჩვენს საზოგადოებას.

—

ჩემი მოგონებანი იწყება შვიდი-რვა წლიდან ჩემის ხნოვანებისა. 1860 წ. მიმცეს გორის სასულიერო სასწავლებელში. სწორედ ცხრა წლისა ვიყავი. მინამდე კი ვიზდებოდი სოფელად ძშობელთა სახლში. არც ეხლანდელი სოფელი ჰგავს მაშინდელს და არც აწინდელნი მშობელნი მაშინდელებს.

სოფლად იშვიათი იყო მარტოხელა ოჯახი, მარტოხელა კაცი. ძმის ძმასთან მოუთავსებლობა სოფელს არ მოსწონდა.

— ძმა ძმასთან ვერ მოთავსებულია, რა საქნელია, როგორ უნდა იცხოვრონ და გასწიონ ცხოვრების ჭაპანი, იტყოდა სოფელი ამისთანა ოჯახზე. აურ-ზაურიანი ოჯახი თვალში ამოღებული ჰყავდა, სოფელს იგი არ უყვარდა, სძრახავდა. ამიტომ იშვიათი იყო ძველად ოჯახის დანაწილება, ძმათა გაყრა-გამოყრა, იშვიათი იყო მარტოხელობა, თუ დედის ერთად არ იყო დარჩენილი ოჯახი. ძალიან ხშირი იყო ოჯახი, რომელიც სამოც სულამდე შესდგებოდა, ოცი-ორმოცი ხომ სათქმელი არ იყო. ზოგი გუთნის დედა იყო საკუთარის გუთნეულით, მეორე ფეიქრობდა და შინ უმზაკებდა ოჯახს შალს, შილას, ნარმას და სხვ., მესამე მეფუტკრე იყო, მეოთხე მეცხვარე, მეჯოგე. დედაკაცებშიაც — ერთი პურს აცხობდა, მეორე დერციკობდა, მესამე მზარეულობდა, ყველას თავისი საქმე ებარა და პირნათლად ასრულებდა. სახლის უფროსები — **პაპა** და **ბებია**, ყავარჯენ დაბჯენილნი, პამპალით დადიოდენ ეზოსა და კარმიდამოზე და რიგს აძლევდენ სახლში მომუშავეებს და განსაკუთრებით **მოცადობას**.*) პატარა—გოგო-ბიჭებს უსაქმოდ არ დააყენებდენ. ძილის გუდაობას მიეჩვევიან და გასალახანდებიანო. თავის დროზე ასაქმიანებდნენ, თავისავე დროზე ნებას აძლევდენ ცელქობა-თამაშობისას: ჯერის ზიდვა მინდორ ველად სამუშაოდ გასულებისათვის, ვენახის ყურისგდება, დროზე გათიბვა ვენახისა და სხვა მსუბუქი და წვრილმანი სამუშაო გოგო-ბიჭების საქმე იყო.

ამიტომ ჩემს პატარაობის ხსოვნაში იშვიათი იყო ნაკლები ოჯახი, ე. ი. ღარიბი. რასაკვირველია, რაკი ოჯახში ბევრი მუშა ტრიალებდა, იგი შეძლებულიც იყო, ნაკლებობას არა გრძნობდა.

მახსოვს ერთი ოჯახი ს. ტახტიძირში, გვარად ბაციკაძე. ამ ოჯახში ასს სულამდე ტრიალებდა ქალი თუ კაცი. სდუღდა და გადმოდიოდაო,—რომ იტყვიან, — სწორედ ის იყო. ჩემს ხსოვნაშივე ეს ოჯახში დანაწილდა, რამდენიმე კომლად იქცა, ზაგრამ მალე ყველანი გაწყალდნენ და რამდენიმე წლის შემდეგ მხოლოდ ხსოვნა ღა დარჩა დიდებული ოჯახისა.

კვირა უქმის გატეხა ყოვლად შეუძლებელი იყო, სასტიკად სჯიდნენ მეზობელს, რომელიც კი გასტეხდა უქმესა. კვირა-უქმე ღვთისაგანაც და კაცისაგანაც დაწესებულია დასასვენებლადაო. ეხლანდელი გლეხობა, თუ კეთილშობილობა, კვირა-უქმეებს ატარებენ სამიკიტნოებში, ძველად კი წირვა-ლოცვას რომ მოისმენდნენ, ხალხი გამოიშლებოდა ეკლესიის გალავანში, ერთმანეთს მეზობლურად სიყვარულით და თავაზით მოიკითხავდნენ, ნასადილევს შეიყრებოდნენ მწვანე მინდორზე და იყო ბინდამდე სხვა და სხვა სიმღერა, თამაშობა და გართობა. განსაკუთრებით შობის დღესასწაულებს, ყველიერს და აღდგომის კვირიაკეს დიდის სიამოვნებით უხვდებოდნენ, სხვა და სხვა ნაირს გართობა-თამაშობას საზღვარი და დასასრული არ ჰქონდა. ეხლა სოფელში არავითარი გართობა, თამაშობა აღარ არის, აქა-იქ იმერეთში თუ დარჩენილა ბურთაობა. მაშინ კი ჯერ ხუთ-ექვს ნაირი მარტო ბურთაობა იყო. **გაკვრა-ბურთი**: ორი მოთამაშე ირჩევდა თავისთვის რამდენიმე ამხანაგსა. დასვამდნენ დიდს ბტყელ ქვასა. ამას ერქვა **ბერა**. ერთი მხარე წილის ყრით გადგებოდა დანიშნულს ადგილზე, მეორე მხარე, რიგ-რიგზე იწყობდა ბურთის გაკვრას ხელის შემორტყმით, გამდგარს მხარეს გაკრული ბურთი უნდა დაეჭირა, თუ ვერ დაიჭერდა, ესროდა იქიდან **ბერასა**, თუ გასჭრიდა, ე. ი. მოარტყამდა ბერასა, მაშინ მეორე გაჭკრავდა. ასე მინამ ყველა გაათავებდა, თუ ყველას გასჭრიდნენ. გამარჯვებულნი შეასხდებონენ ზურგზე გაჭრილებს და ბერამდე სირბილით მიიყვანდნენ. **დახლა-ბურთა**-რამდენიმე გააკეთებდნენ წრეს, გარს შემოეხვეოდნენ. ერთი წრეში დაახლიდა ბურთსა, ავარდნილს ბურთს ვინც დაიჭერდა, დამხლელს ზურგზე მოახტებოდა, ზურგიდან დაახლიდა მიწას ბურთსა, თუ თითონვე იყოჩაღებდა და დაიჭერდა, ხომ გადარჩებოდა სასჯელსა, თუ სხვა, მაშინ ჩამოაბძანებდნენ და იმას მოახტებოდნენ. იყო კიდევ **წრე-ბურთა**--ეს ძალიან სავაჟკაცო და სასწრაფო თამაში იყო: ორ ბანაკათ გაიყოფოდნენ მოთამაშენი, მოხაზავდენ ადგილს. აქ დიდი ბურთი იდო დანიშნულს ალაგს, პატარა ბურთის სროლა დაიწყობოდა ერთი ბანაკიდან მეორეში. თუ ათ ათი კაცი იყო, ათჯერვე გაკრული ბურთი უსათუოდ უნდა დაეჭირათ. როცა შეასრულებდნენ, წამოვიდოდნენ იერიშით წრიდან ბურთის გასატანად. აი მაშინ იყო ვაჟკაცობის გამოჩენა. — ყველა თამაშობას და გართობას ვერ ჩამოსთვლის ადამიანი.

სოფელი მთლად გამოიფინებოდა საცქერად, იდგა ჟრიამული ხალხისა, სიცილ-კისკისი, ვაშას და ყოჩაღის ძახილი. ერთს ალაგას ბურთაობდენ, მეორე ალაგას ჭიდაობა იყო გამართული, მესამეს ჩალიჩობა, სხვაგან სიმღერა, ფერხული, ზე-მყრელო და სხვა მრავალნაირი სიმღერა. ქალებიც ცალკე ერთობოდნენ სიმღერით, თამაშობითა. მუშაობის დროს თავ აუღებლივ მუშაობდა სოფელი, კვირა-უქმეს გონიერად ატარებდა სიმღერა — თამაშობაში.

*) **მოცადობას** ეძახდნენ და კიდევაც ეძახიან სოფლად ახალგაზდობას—გოგო-ბიჭებსა, ათ-თორმეტ წლამდე.

დაიკარგა მაშინდნლი სიმღერა-თამაშობა, მოია სპო, ამოვარდა ძველი სიმღერა. აწინდელი სოფელი სულ სხვა სურათს წარმოადგენს; იგი კვირა-უქმეს ატარებს მიკიტნის დუქანში, გაჰკივის სპარსულს სიმღერას, შარმანკის ხმებსა და თავი მოაქვს, „ჩიკა-—ვოკურს“ დიდის პრანჭვა ბრეცით გაჰკივის; აწინდელი სოფელი ნახევრად გაკინტოვებულია, ნახევრად გაჩარჩებულია. თავის მეზობელს ატყუებს, ხელიდან ართმევს ქრთამს, კვერცხსა, ვარიებს—სულ ნახევარს ფასად და თითონ ჩარჩად მოდის ბაზარ ადგილას, აწინდელს სოფელს, აწინდელს ქართულ ქალაქს აღარად ეპიტნავება ქართული ბურთაობა-თამაშობანი, ქართული სიმღერა-გალობანი. ამას სჩივიან და ტირიან ზოგიერთი ჩვენი მემუსიკენი, მაგალითად, ია კარგარეთელი, მაგრამ გამგონი ვინ არის? აი კიდევ ახალ-ახალი მაგალითი; ზ. ფოცხვერაშვილის სიმღერები ბევრსარ მოეწონათ. არ მოეწონარ «ფაცხაში» ჩართული ბოლოს სათქმელი, დასათავებელი ხმა, ვარიაცია; იგი ნამდვილი ქართულია, ძველი ჰანგებიდან აღებული. არ მოეწონათ იმიტომ, რომ ძველისა აღარ გაეგებათრა; მათ ყურს ატკბობს მხოლოდ შარმანკული ხმები, რომლის სმენაში, საუბედუროდ ჩვენდა, აღზდილან იგინი დიდი ცდა სჭირიათ ჩვენს მემუსიკეთ, რომ აღადგინონ და გაავრცელონ ჩვენს და სულიერად დაცემულ ერში სიყვარული ნამდვილი სიმღერა-გალობისადმი, ჩვენი ტვინის სისტემა მეცხრამეტე საუკუნეში სრულად გადაკეთდა, გარდაიცვალა, თუ შეიძლება ასე ვსთქვათ, დამახინჯდა! აბა წარმოდგეს თანამედროვე ინტელიგენტი ქართველი და სთქვას უშიშრად გაუწითლებლივ, რომ იგი ქართულად ფიქრობს და ქართულად სწერს. ძალიან იშვიათია ასეთი ახალგაზდა ქართველი, ჩემის აზრითა იმათი ნაწერები, რუსიციზმებით აღსავსე, ამ ჩემს აზრს ადასტურებს. «რა ენა წახდეს, ერიც დაეცეს, ჩირქი მოეცხოს ტაძარსა წმინდას. „ სთქვა პოეტმა. და მართალიც სთქვა....

მაგრამ დავუბრუნდეთ ჩვენს მოგონებებს. მახსოვს, დაღალულ-დაქანცული თამაშობით, მივირბენდი დედასთან საალერსოთ. — რა არის, შვილო! ფეხი შენ აღარ გერჩის და ხელი: თავ-პირი გაცრცვნილი გაქვს მზის სიდამწვრისაგან; ფეხის თითებზე ერთი ფრჩხილი აღარ შეგრჩა—ჩუსტები მაინც ატარე, ვინ რას იტყვის. მაგრამ დედის ლაპარაკი ჩემს ყურებში არ შედიოდა, მე მესწრაფებოდა მალე გათენება და დაღამება, რომ შევდგომოდი საყვარელ გასართობებსა. — დედა, დედა! რა არის ამდენი ვასკულავებით როა მოჭედილი ე ცაი, ვუთხარი ერთხელ დედასა.

— სულელო, ახლა დაინახე! ზამთარ-ზაფხულ სულ ეგრე არ არის მოჭედილი.., რამდენიც ქვეყანაზე ადამიანია, იმდენი ვასკულავია! მითხრა დედამ მტკიცე კილოთი.

— მაშ ჩემი ვასკულავიც არის, შენიცა, ყველასიცა, გაოცებით ვკითხე მე,

ამ ჩვენს ლაპარაკში მამა-ჩემიც ჩამოერია, მამა ჩემს სოფელში სწავლულის სახელი ჰქონდა დავარდნილი, იმას ოდესღაც გაეთავებინა სემინარია, მასწავლებლადაც ყოფილიყო; სახლში ჰქონდა „ვეფხვის ტყაოსანი, გურამიანი და სიბრძნე-სიცრუის“ წიგნი. საეკლესიო წიგნებს ხომ ახედვა არა ჰქონდა. ზამთარში გძელ ღამეებში, გვიკითხავდა ამ წიგნებსა, ხშირად მეზობლებიც ესწრობოდნენ. პაპა ჩემი, მამი-ჩემის მამა, ანტონ ქათოლიკოსის ნაკურთხი მთავარ-დიაკონი იყო. როცა მამა-ჩემი, მღვდელი, საერო წიგნებიდან კითხვას გაათავებდა, პაპა-ჩემი რამე საგალობელს იტყოდა, ყველანი ოჯახში მიჰბანებდენ, რადგან ყველამ იცოდა სიმღერა-გალობა, ან რომელიმე სახარებას ჩაარაკრაკებდა ზეპირად, და ამითი თავდებოდა საღამო.

ჰო, იმას ვამბობდი, მამა-ჩემი ჩვენს ლაპარაკში ჩამოერია, მოგროვდენ სხვებიც. დედამ განაგრძო—აი, შეხე, შეხე! ვასკვლავი რომ მოწყდა, ვიღაც მოკვდა; რამდენი კაციც მოკვდება, იმდენი ვარსკვლავი წყდება.

ყველა სდუმდა. მამა-ჩემის დუმილმაც, ამ სოფლის სწავლულისამ, დაადასტურა ეს მოვლენა. მე ღრმად ჩამრჩა გულსა და გონებაში, რომ ყოველს თავისი ვარსკვლავი ჰყავს ცაში.

— ქვეყანა კიდევ გველეშაპზე სდგას, ეს ამოდენა ხმელეთი აწვება და ვერ ასდგომია,—განაგრძო კვლავ დედა-ჩემმა, — ხანდისხან შეინძრევა და მაშინ არის, რომ მიწა ინძრევა ხოლმე.

— არა, მიწა მოძრაობს, სთქვა ერთმა სწავლულმა, ჩაერია ლაპარაკში მამა-ჩემი, სხვა ყველაფერი კი სდგასო. მაგრამ ის სწავლული დასწვეს, აწამეს, როგორც საღმთო წნრილის მგმობი...

— ღვთის გმობა ვის შერჩენია!.. წაილაპარაკეს მეზობლებმა.

— ისუ ნავე, როცა ებრძოდა მტერს და ქალაქს იერიქონს იღებდა, მკაცრად წარმოსთქვა; შესდექ, მზევ და დაიძრეი მთვარეო! შესდგნენ ორთავენი და ისევ დღისით.

მზისით აიღოს იერიქონის ქალაქი. ისინი რომ არ შეჩერებულიყვნენ, ღამე უსწრობდა და მტერს ველარ დაამარცხებდა. მაშასადამე, დაასკვნა მამა-ჩემმა, დედა-მიწა სდგას და სხები ყველა კი იძვრის.

— ეიჰ, მაგას რაღა ლარი და ხაზი უნდა: განა ვერა ვხედავთ, მთვარე რა ნაირ ტუსტუსით გარბის ხოლმე, სთქვა ერთმა მეზობელმა.

ეს ჩემი მსოფლმხედველობა მეორე დღეს ჩემს ტოლ-ამხანაგებს გავუზიარე.

მე კარგა ჩასული იყო, ბინდი თანდათან მოგვეპარა, ცამ სინათლე დაჰკარგა და ვარსკვლავებმა ციმციმი დაიწყეს, ფირუზის ფერი ცა ზურმუხტებით მოიქედა. აი მაშინ გავუზიარე ტოლ-ამხანაგებს ჩემ მიერ ახლად შეძენილი მსოფლმხვედველობა.

— ბიჭებო, იცით რა გითხრათ? შეხეთ. შე-

ხეთ ი ცასა, რა ნაირ მოჭედილია ვარსკვლავებითა. თურმე რამდენიც კაცია მთელ დუნიაზე, იმდენი ვარსკვლავია.

— ეჯა! რას ამბობ კაცო! გაიოცეს ბიჭებმა.

— ღმერთმანი, ვარწმუნებდი მე, დედამ მითხრა და მამა-ჩემმაც კვერი დაუკრა.

— ნეტა ჩემი ვარსკვლავი რომელი იქნება, წამოიძახა ერთმა აძონძილმა გლეხის შვილმა.

— შენი, შენმა სიცოცხლემ, აის ბდღვრიალა ვარსკვლავი იქნება, არა?.. აი ძალიან რომ მიბჟუტულა, ის იქნება, უთხრა ერთმა მაკვილატმა ამხანაგმა.

— დახე, დახე! ვარსკვლავი რა ნაირ გასრიალდა ცაზე.., აი გერ, მეორეც!.. როცა ვარსკვლავი ჩამოვარდება, თურმე მაშინ ადამიანიც კვდება.

— ნეტა ი ბდღვრიალა ვარსკვლავი, აი ეხლა რო გასრიალდა და გასერა ცის გული, ვისი იქნებოდა? იკითხეს.

— ისა, ბიჭებო, ამაყად ვუთხარი, თითქო რომელიმე მათემათიკურს აქსიომას ვეუბნებოდი, ისა დიდი-კაცის ვარსკვლავი იყო, ვიღაც დიდი-კაცი მოკვდა, ან ხელმწიფე, ან თავადიშვილი... აი მამა-მზე გაგიგონიათ*), ის თუ იყო, თურმე დიდი, ძრიელ დიდი კაცია!..

— მაშ, კაცო, აი ის ბდღვრიალა ვარსკვლავები სულ ხელმწიფეებისა იქნება, სთქვეს აქეთ-იქითკენ.

— ნეტავი აი სულ-მაღლა რომ არის, შიგ ცის-გულში და თითქო თვალებსა ჭუტავსო, ის ვარსკვლავი ჩემი იყოს და სხვა არა მინდარა, სთქვა ძონძებიანმა გლეხის შვილმა

— ეგ რა კიდევ, ქვეყანა თურმე გველაშაპზე დგას, ხანდისხან შეინძრევაო და მაშინ თურმე მოხდება ხოლმე მიწისძვრაო, კვლავ ახალი ჭეშმარიტება გავუზიარე ამხანაგებსა.

— ჰეიდა ჰა! რამდენი გველაშაპი ყოფილა, აკი ი ოხრები წმინდა გიორგიმ დალახვრა. კიდევ დარჩენილა... მამა ჩემმა მითხრა, კაცო, იმ დღეს კაკლის ხის ძირს მიმეძინაო, უცებ შხუილი შემოესმა და თვალები შევიფშვნიტეო. რასა ვხედავო? ვარსკვლავებსა და ვარსკლავებს შუა წმინდა გიორგიმ თეთრი ცხენით შეაჯირითაო, უკან გველაშაპს მოათრევდა იმის კუდი საქანელასავით ქანაობდაო და სოფლის ბოლოს ჩაეშვაო.

— ზედა-ჯვარს წმიდა გიორგი ყოფილა, მეც გამიგონია, ას წელიწადში ერთხელ თურმე გამოიჯირითებს ხოლმეო.

წმიდა გიორგის ხსენებაზე ყველამ პირჯვარი გადავიწერეთ და აქნამდე გულალმა მწოლარენი ჭოტებივით წამოვსხედით. გლეხ-კაცის ვაჟშმობა გადასული იქნებოდა. ჩვენ ყველანი ერთს წამს გავჩუმდით. მე ჩემს შეძენილს მეცნიერებაზე ვფიქრობდი, ცას შევყურებდი და ჩემს ვარსკვლავს ვირჩევდი, ვგონებ, ჩემი ტოლ-ამხანაგნიც ამნაირ ფიქრში იყვნენ, ისინიც პირდაღებულნი დაზურმუხტებულს ცას შესცქეროდნენ.

ს. მგალობლიშვილი.

მგზავრის სიმღერა.

(მიბაძვა გეტესი)

* * *

ცათ კაეშანი გამეფებულა,
სძინავს საყარეს, ნისლით დაბურულს,
შავი ძაძები ჩაუცვამს მყინვარს,
მაღლა ატყორცნილს, ცად აყუდებულს.

ჩემი ქვითინი, მოთქმა, გოდება
არავის ესმის, არ ეყურება,
სევდა, ნაღველმა დალიეს გული,
მარტოდ-მარტო ვარ, არ მესვენება.

ოჰ! ზენაარო! მითხარ, როდემდის
ვიდოდე მწირი მე უსაფარი,
დავიღალევი ცხოვრების გზაზედ,
არ ძალმიძს ვზიდო წამების ჯვარი?

მეგობრის ალერსს არ ვარ ჩვეული,
მუდამ თან დამდევს შავი ნაღველი,
აღთქმის ქვეყანა კიდევ შორს არი,
რწმენა — იმედის ჰქრება კანდელი.

მშვიდობას ითხოვს... მშვიდობას სული,
სოფლის ვაებით ანატირები.
ნუ, ნუ დამმარხავ ასე სიცოცხლით,
მომხედე ბედ-კრულს, გემუდარები!

ტ. ტაბიძე.

ᲔᲠᲗᲮᲔᲚ...

(ესკიზი)

(ვუძღვნი ნარ-კანს.)

I

ერთხელ... თადეოზ მიმინაშვილმა მთელი დამე თეთრად გაათენა. წინა დღით ძალდ-უმადურად გამოჭკვება თავისი ცოდშვილი და ახლა მეორე დღისათვის შეუდგა ზრუნვას.

ზაფხული იყო. მზისგან გახურებულ ქალაქს ბუტა-

(* მამა მზე იყო გვარდიის პოლკოვნიკი, გვარად ერისთავი—გავლენიანი კაცი ბატონყმობის დროს გლეხებთან სასტიკი და უდიერი.

ნელი სიცხის ბუღი დასტრიალებდა. სიცოცხლე მოშვებულიყო, მოდუნებულიყო და ყველა ნატრობდა გამაგრილებელ წვიმას, ნიავს, თუნდა ქარიშხალსაც კი ოღონდ ეს სულის შემხუთავი სიცხე თავიდან აეცილებინათ. მთაწმინდის ერთ ოდრო — ჩოდრო ქუჩაზე მოკრუნჩხული ბინა თადეოზისა თონესავით ვარვარებდა. მართალია, ელამი კაცის თვალებივით დაბრეცილი პაწია სარკმელები ყურთამდე ღია ჰქონდათ თადეოზიანთ, მაგრამ ეს არას შველოდა და სამს—ოკრო-ბოკრო— ოთახში გამეფებული ბუღი სიცხისა ლოდივით დასწოლოდა თადეოზის მძინარე ოჯახს.

ღამე კარგა გამტუდარიყო. უმთავრესს ქუჩებსა და მთაწმინდის ქედზე ელექტრონი უკვე ჩაენელებინათ და დასიცხულ ქალაქს სიბნელე და რაღაც გამოურკვეველი იერი ეპატრონებოდა. ძალზე ჩაბნელებულიყო თადეოზის ბინაც. პაწია საღამური ლამპარიც ოდნავ, სულ ოდნავ ანათებდა თადეოზის ოთახებს და საბრალოთ ბჟუტავდა.

ერთ-ერთ ოთახში, იატაკზე გაშლილ სუფთა ლოგინში ჭერეხებივით წამოყრილიყვნენ თადეოზის დედიშობილა, ერთი ერთმანეთის მომდევნო ბავშვები და მშვიდად ეძინათ. იქვე, მათ შორიახლო ტახტზე ეძინა თადეოზის ცოლს—მაგდასაც. არ ეძინა მხოლოდ თვით თადეოზს, საცვლების ამარა გაშხლართულიყო მეორე ტახტზე, ხელები თავქვეშ ამოედო და ოთახის ჭუჭყიან ჭერს მისჩერებოდა. იგი ღრმა ფიქრებში იყო გართული, თუმცა გარკვეულ აზრს ვერ დასდგომოდა და ერთსა და იმავეს უბრუნდებოდა. უმუშევარი, ხელ-მოკლე, წვრილშვილი და ათას გვარ უსამართლობით გულ-გაწყალებული, თავ-დავიწყებით ჩაბმულიყო მწარე ფიქრების ხლართულში!

„ფიქრი, ფიქრი და სულ ფიქრი,
სევდიანები, შავები!
მწარე ფიქრების უღელში
თავი გავყავ და გავები,
ვერც წინ წავსულვარ, ვერც უკან,
ოთხ-კედელ შუა დავები!!“

წაიდუდუნა თადეოზმა და მწარე ამოოხვრით დაუმატა:

--რა დიდებული გამოთქმაა, რა გამონაკთული პოეტური ამონაკვნესია სევდიანის კაცისა! მაგრამ ბევრს კი ესმის ამ ლექსის აზრი, აფასებს კი ვინმე მისს ამომკვნესებელს? არა! იქ, სადაც ტყვიითა ჰკლავენ ილიას, ხოლო შიმშილით—ნინოშვილებსადვი, ლად ვერავინ მიხვდება ქართველი მწერლის მწუხარებას!.. ეჰ!.. კვლავ ამოიოხრა თადეოზმა და კედლისკენ გადაბრუნდა. ლამპრის მკრთალი შუქი გაუბედავად დასციმციმებდა კედელს და რაღაც საარაკოდ ასურათებდა ამ კედლის დაწინწკლულ, ომარხნობის შპალერს. თადეოზი უაზროთ შესჭყურებდა კედელს და ისევ თავის დუხჭირის ცხოვრების მოწესრიგებაზე ჰფიქრობდა. უცბათ წამოიჭრა, ჩამოჯდა ტახტზე და ერთ წერტილს დააშტერდა.

კედლის ერთ ნალურსმიდან გამოსულიყვნენ ბაღლინჯოები, დამწკრივებულიყვნენ, დარაზმულიყვნენ და ერთ ცნობილ ერის მშიერ და გამხეცებულ ჯარისკაცებივით თავქვე დაშვებულიყვნენ.

— უჰ! რამდენია! სად, სად მიხვალთ, თქვე ვერანებო, გინდათ დამიკბინოთ ჩემი გოგო-ბიჭები!? ვერ მოგართვით!—წამოიძახა თადეოზმა, გადმოიხარა, დაავლო ფლოსტს ხელი და დასახვედრათ მოემზადა. ბაღლინჯოები გამალებით მოეშურებოდნენ. მათი მესვეური ყველაზე უფრო საზიზღარი და მსუქანი იყო.

—ჩემ კრიტიკოსს არა ჰგავს ეს ტიალი?.. იმისავით შემურული და ამყრალებულა! ბრიყვი! ესეც შენ... ჰჰ!— ნიშნის მოგებით სთქვა თადეოზმა და კედელს ფლოსტი შემოჰკრა! ბაღლინჯოების მეთაურმა ტკაცანი მოიღო და კედელზე მიისრისა. ქაღალდზე სისხლის ბორჯღლებიანი რაღაც სურათი გამოისახა. დანარჩენი ბაღლინჯოები დაფრთხნენ. საცვლების ამარა, საკინძე ჩამოხსნილი და თმა აბურძგვნილი თადეოზი შედგა ტახტზე და ბაღლინჯოებს გამალებით ხოცვა დაუწყო:

—ჰმ... ესეც შენ... ჰჰ... აგრე გინდა! — ებუბუნებოდა თადეოზი და კედელს ფლოსტს უტყლაშუნებდა.

II

ბაღლინჯოებთან ბრძოლაში თადეოზმა კარგა დრო გაატარა. ქალაქის საათმა ორი, თუ სამი დაჰკრა. თადეოზი კი ისევ ტახტზე იდგა და გაფაციცებით ათვალიერებდა კედლის ნალურსმებს, ახეულსა და აყრილ შპალერს.

მწარე ფიქრები თადეოზს სინამდვილეზე შეეცვალა. ნაღვლიანად გადახედა მძინარე ცოლშვილს და გულმა საშინელი ღელვა დაუწყო.

-- ხვალ სადღა წავიდე. ვის მივმართო! ვის რა შევასმინო?—დაეკითხა თავის თავს და დაუმატა:

— არა, ასე ცხოვრება შეუძლებელია! უნდა ვიღონო რამე, მაგრამ რა?.. არა! სად მიბობღავ?—დაიღრიალა თადეოზი და კედელზე მცოცავ ერთ ბაღლინჯოს ისე ძლიერად დაჰკრა ფლოსტი, რომ მაგდამ თვალები აჭყიტა... წამოიწია, ნამძინარევის თვალებით უაზროდ შემოავლო ოთახს თვალი და ატუზული თადეოზი რომ დაინახა, განცვიფრებით შეეკითხა.

— რასა შვრები, კაცო, ხომ არ გაგიჟებულხარ?

— დიდი ამბებია, ჩემო კარგო! იაპონია დავამარცხე და ახლა ჩინეთს უნდა შევესიო.—ღიმილით უპასუხა თადეოზმა და ტახტზე ჩამოჯდა...

უკვე ინათლა. მაგდასაც ძილი გაუკრთა.

კედელი დახოცილ ბაღლინჯოების სისხლით აჭრელებულიყო და სისხლით მოსვრილი კედელი თხემის ადგილს დამსგავსებოდა... საცვლების ამარანი თადეოზი და მაგდა ძველ-რომაელთა ქურუმებივით წამომსხდარიყვნენ ტახტის პირად და დღიურ ჭირ-ვარამზე ბჭობდნენ...

III

— მალე მოდი ცინა... ქილა მომიტანე... თოლემაა!—ფუნთუშა თითის ქნევითა და ღიმილით გადასძახა აივნიდან პაწია ფეფომ თადეოზს, როცა იგი დილის ათსაათზე პროსპექტისაკენ დაეშვა.—ლუკმა პურის საშოვნელად მიდიოდა.

— მალე მოვალ, შვილიკო, მალე! შემოსძახა ქვევიდან თადეოზმაც, ქუდი თვალებზე ჩამოიფხატა და თავქვე დაეშვა.

ზაფხულის მზე სწვავდა ქვეყანას... გარედ ხალხი მრავალი გამოშლილიყო. ვეებერთელა შლაპებ ქვეშ დამალული ქალები მუშტის ოდნად და მოსჩანდნენ. ზოგ მათგანს კი გულ-მკერდი გადმოეგდო, ქვედა-ტანი მოეწვრილებინა, თვალებს ეშმაკურად ათამაშებდა და ისე მოკიაკიკობდა, გეგონებოდათ, ჯერ ჭია არ გაულღვიძებიაო. მათი სახე უფრო შელესილი იყო, ვიდრე მოქალაქეთა სახლები...

თვით პროსპექტზე უფრო აჭრელებული ხალხი დადიოდა... რვა-მანეთიან გადამწერლებს ორი-სამი კაკარდა მიეკრათ შუბლზე, ტუჟურკის ღილები დაეფერათ და ისე მიიჯგიმებოდნენ, გეგონებოდათ ხელმწიფის ნათლულები არიანო. ახლად შეღერებული ცირები ფეხებს ნათხოვარივით მოათლასტუნებდნენ და ახლად გამომცხვარი, თუ ძველი სტუდენტები ულვაშების გრეხით ქორებივით შესცქეროდნენ, ეტორღიალებოდნენ. დიდი თუ პატარა, ქალი თუ კაცი,--ყველა მხიარული, კმაყოფილი, ბედნიერი მოსჩანდა.

ყოველი ენა თამამად გაისმოდა, გარდა ქართულისა და ისეთი კმაყოფილება სუფევდა ირგვლივ, გეგონებოდათ თოფიანი პოლიციელები კი არ არიან იმათი ბატონები, არამედ გამარჯვება და ადამიანობაო...

თადეოზი შეუმჩნევლად ჩაინთქა მოსეირნე ბრბოში და კვლავ მწარე ფიქრებში გართული, მწარედვე იღიმებოდა.

— რამდენიც გინდა სწერე.. იქადაგე... ვინა გყავს გამგონე, ან წამკითხველი? თუ ამ ბრბოს მოარჯულებს რამე, მარჯვენას მოვიჭრიო!—ბუტბუტებდა თავისთვის თადეოზი და დაღვრემილი მგლოვიარესავით მიაბიჯებდა...

—- ბრიყვო... ამრეზით მიაძახა ერთმა გათანგულმა, გამოწლევებულმა შლიაპოსანმა, რომელიც გედივით მისცურავდა და თეძო-მკერდს ირემივით მიარხევდა... მის შლიაპას ნახევარი პროსპექტის ეჭირა.

თადეოზი გაჩერდა და გაკვირვებით გააყოლა თვალი... ვერ გაეგო რათ გალანძღეს... თურმე ქალის შლიაპას მხრით შეჰხებოდა.

— ჰპა ეგენი არ იყოს!.. თორემ ხომ იცი მაგდას ამბავი... ჯერ დაგაბეზღდო!—სიცილით გამოეხმაურა ერთი ახალგაზდა თადეოზს და მისასალმებლად მიაშურა.

— აა, კოტე, შენა!.. დამაბეზღე გეთაყვა, დამაბეზღე... იქნება იჭვიანობამ მაინც შეაფერადოს ჩემი მდორე ცხოვრება!--ნაღვლიანის ღიმილით მიაძახა თადეოზმა და გამოწვდილი ხელი მაგრა ჩამოართვა.

კოტე მღერაძეც ქართველი ინტელიგენტი იყო, ნიჭიერი, მწერლობისა და მხატვრობის დიდი მოტრფიალე და დიდი მეოცნებეც... თადეოზისავით, იგიც გაეთიშა ცხოვრებას მაძღართა წრიდან და მარად მშიერი, მაინც ხალხის გაბედნიერებაზე ჰფიქრობდა.

კარგა ხანს იდგნენ კოტე და თადეოზი პროსპექტზე უსიტყვოთ და გამვლელ-გამომვლელს ათვალიერებდნენ.

— მშვენიერი ფიგურა აქვს ამ ქალს!—წასჩურჩულა კოტემ თადეოზს, როდესაც ერთმა თაიგულივით აჭრელებულმა გულმკერდიანმა და გამოწკეპილმა ქალმა შრიალ-შრიალით გვერდით ჩამოუარა... ჩინებული დედანი იქნება მხატვრობისათვის.

— კი!... თუ რომ ბალიშებით არ არის დამრგვალებული!—გადიხარხარა თადეოზმა, ხელი მკლავში გაუყარა და პროსპექტის მეორე მხარისაკენ გაიწვია.

წავიდეთ, კოტე, ვიმასლაათოთ!--უთხრა თადეოზმა —ახალი არა გიფიქრიარა?... რას აპირებ, მიდიხარ თუ არა სწავლის გასაგრძობად?—

— მივდივარ კი არა, მზათა ვარ მთელის ჩემის არსებით დავეწაფო მხატვრობის შესწავლას, მაგრამ, რითი? გროში კაპეიკი არ მომეძებნება და ჩვენი ბურჟუები კი დახმარებაზე არა ჰფიქრობენ!—უპასუხა კოტემ და მწარედ ამოიოხრა:

— ჰმ!.. ყველგან—ნათელ-მირონობაა საჭირო... ვინ გვიცნობს, რათ დაგვეხმარებიან?.. ყოყოჩაშვილი თუ ცოცხალი იქნება, მგონი ყველა სტიპენდიები მოსპოს, თუ იგი სტიპენდიას იმის ნათესავებს არ დასჭირდა, რასაკვირველია,—ერუდ უთხრა თადეოზმა.

— ეჰ! ჯანიც გავარდეთ, თუ მივაღწიე რამეს ხომ კარგი, თუ არა და... გალორებას ოცნებაში სიმშილით სიკვდილი სჯობია... მართლა, კითხულობ თადეოზ, ჩვენ ნაამხანაგარ ყოყოჩაშვილის წერილებს? ხედავ რა ბრტყელ ბრტყელებსა სწერს? გეგონება მაღლა ბანზე იდგეს და დაბლა სულელებს ელაპარაკებოდეს?... აი, ვინ ასარგებლა თავისს მდგომარეობით. ყოჩაღ, მედაჩემმა ღმერთმა!...

— ქართველი კაცი რო ცხენზე შეჯდება, ღმერთიც კი დაავიწყდებაო—ძველთაგანვე უთქვამთ ჩვენებს.

— ძალიან კარგსაც შვრება... ნეტა მეც იმისი შნო მომცა, ნეტა შემეძლოს ყოყოჩაშვილის ოდნობა, ნეტა შემეძლოს ყველას ფეხი დავადგა და გავსრისო!—გაჯავრებით წარმოსთქვა კოტემ.

—- რა მწარე—მწარეებს ლაპარაკობ, კაცო. ნუ თუ შენც გამოიცვალე?

— რას ამბობ, ბიჭო!.. ლამის გული წამივიდეს, ორი დღეა არ მისადილნია... ვისაც მივმართე, ყველამ გაიწყვიტა... ჩვენი რედაქციები ხომ მარტო უნიჭოებს ჰკვებავენ... შრომას თავის დღეში არ დაგიფასებენ. მეგობრებმაც კი ზურგი მაბრუნეს და ყველა მაქიათს იყურის... როცა მე ვახეთქებდი, მაშინ კაი ბიჭი ვიყავ და ახლა დავგლახაკდი?... ჰმე!..

თადეოზმა მწარედ ჩაიცინა.

— მე კი მინდოდა შენგან ერთი მანათი მესესხნა, დღეს ცოლშვილი უსადილო მყავს... ჩემი გოგო-ბიჭები... მიმელიან, მოგვიტანს რამესო.--ნაღვლიანად დააბოლოვა თადეოზმა და დაუმატა.

— მაგრამ არა უშავს რა!... სახლში ხმელი პური და კარტოფილი მაქვს. წავიდეთ ჩემსას, მოვახარშვინოთ მაგდას კარტოფილი და ინდოურებივით ამოვიყოროთ ე ვერანა მუცელი. მომეცი ხელი!... ვინც მოხრაკულბსა სჭამს, ისაც მოკვდება... ღიმილით სთქვა თადეოზმა და კოტეს გულწრფელად ეპატიჟებოდა.

— მადლობელი ვარ ჩემო თადეოზ!... მე დღეს სხვაკან უნდა წავიდე... იქნება მეორეთ მოსვლის ნაშნებიც იყოს, ე. ი. იქნება ცოტა ფულიც ვიშოვო და მაშინ შენც გიწილებ... ამ სიტყვებით კოტე უცბათ მოშორდა თადეოზს და კუკიისკენ დაუხვია. ორთავემ სწრაფლად იგრძნეს უმწეობაცა და დამცირებაც.. მოსეირნე ხალხი კი კვლავ თავ თავდავიწყებას მისცემოდა, არშიყობდა, ხარხარებდა.

IV

თავჩაქინდრული, დაღონებული მიფრატუნებდა თადეოზი შინისაკენ! გული უკვდებოდა, რომ სახლში არა მიჰქონდარა და ხელცარიელი მიდიოდა... გული უხილავის შანთებით ელადრებოდა. ოჩანი ცხენივით მოათრევდა ფეხებს და გაფითრებული მწარედ ოხრავდა. ნაშუადღევის პირველი საათი იყო, როდესაც თადეოზმა შინამდის მიაღწია. შესავალი კარები ღია დახვდა, ხოლო მაღლიდან საზარელი ღრიანცელი ისმოდა. თადეოზმა თავდავიწყებით აირბინა ჭრიჭინა კიბე და შეძრწუნებულს სახლში შემდეგი სურათი დახვდა: ტახტზე მიგდებულიყო გულწასული მაგდა. პატარა ბავშვები კი დამფრთხალი წიწილებივით აქეთ იქით კუთხეებში მიკუნტულიყვნენ და გულ ამოსკვნით გაიძახოდნენ: ვაი მე, დედაი, ვაიმე დადავო, თადეოზმა თვალის დახამხამებაზე წამოავლო მაგდას ხელი, ჩაიკრა გულში და მობრუნება დაუწყო.

— ჰა!... შენა ხარ... მოხვედი... არა მიშავს-რა, ცოტა გული შემიფერდა... დავიღალე, დავიქანცე ამდენის ფუსფუსით... ბავშვები ვაბანე... სახლი დავწმინდე... ის ოხერი ბაღლინჯოები მილიონობითაა... ამათმა გაწყვეტამ დამღალა!—როდის, როდის ამოიკვნესა მაგდამ და გახურებული ჰაერი მაგრად შეისუნთქა. დედის ხმის გაგონებაზე ბავშვებმა ტირილი შესწყვიტეს და დედმამას შემოეხვივნენ...

ნახევარ საათის შემდეგ მთელი ოჯახი შემოსხდომოდა მაგიდას და ხმა ამოუღებლივ ღოღნიდა ხმელს პურს ცხელ-ცხელ კარტოფილს... მწარე ფიქრებში გართული ცოლ-ქმარი სამარისებრ დუმდნენ, მხოლოდ უდარდელ ბავშვების ჩუმი ხითხითი თუ და არღვევდა ამ მკვდრულ სიჩუმეს.

ეს იყო ცეცხლის პურის ჭამა!

სწორედ ამ დროს ტფილისის ერთ-ერთ პირველ ხარისხოვან კაფეში მაგიდას მოსჯდომოდა მდიდრულად გამოწყობილი ძალზე ნასაუზმევი ყოყოჩაშვილი და თავის მოინახეს ენა მოკიდებით დიდრაჯულად ემუსაიფებოდა:

— დიახ! დაღუპულია ჩვენი, ქართველების, საქმე... ბრიყვები, უვიცები... ღარიბები ვართ... თითო ოროლა კაცი თუ მოგვეპოვება, თორემ... აი, ხვალ, წაიკითხავთ ჩემ წერილს გაზეთში. თუ დამიჯერეს, ხომ კარგი თუ, არა და დაღუპულია საქართველო. ეი! ჩელოვეკ!—გადასძახა მედიდურად ლაქიას და ასიანი გადუგდო დასახურდავებლად—მიიღეთ თქვენი დანახარჯი.

დიახ! დაღუპული ხალხი ვართ ქართველები!.. კვლავ დაიბუბუნა ყოყოჩაშვილმა და ძვირფას სათუთუნედან პაპიროზი ამოიღო გასაბოლებლად.

ამავე საღამოთი ბოღმა მორეულ სადღაც სარდაფში ჩაენისიავებინა, ერთი ლაზათიანათ ჩამთვრალიყო, გულზე დარდ მოწოლილი გზა-გზა კოტე სწყევლიდა თავის გაჩენის დღეს და ჩვენ, ქართველურ, კოტე მღერაძესაც გაუტახლობასა და დაუდევრობას სულ მანეთიანი ესესხნა და თადეოღიანთკენ მიუვანცალობდა... რუსულადაგინებდა...

ია ეკალაძე.

წერილლი დასავლეთ საქართველოდან.

იმ დროს, როდესაც დასავლეთ საქართველოს თავად-აზნაურობა დასავლეთ საქართველოს სატახტო ქალაქ ქუთაისში კენჭობიას შეექცეოდა, დაბალი კლასი საზოგადოებისა შრომაში იყო გართული და შრომის დროს ოროთქლი ღვართქაფად ჩამოსდიოდა. ეწეოდა ის შრომას მეაბრეშუმეობაზე, რომელიც საკმაო შემოსავლიანი წყაროა დასავლეთ საქართველოს მცხოვრებლებისათვის. მეაბრეშუმეობას ეწევა: იმერეთი, გურია და სამეგრელო, მაგრამ ყველაზედ უფრო გავრცელებულია მეაბრეშუმეობა იმერეთში, ნამეტურ ქვემო იმერეთში. მეაბრეშუმეობა რომ საკმაო შემოსავლიანი წყაროა, ეს იქიდანაც სჩანს, რომ როდესაც აბრეშუმის პარკი იყიდება, მაშინ მთელ დასავლეთ საქართველოში ვაჭრობა დროებით მაინც გამოცოცხლდება. წარმოდგენა-ლექციებსაც ამ დროს ხალხი ბლომად ესწრება, მცხოვრებლები ტანთ იმოსებიან და სხვა. ყოველივე ეს კი ხდება იმის გამო, რომ ამ დროს ხალხში ფულია, რომლითაც ხალხი ყოველივე მოთხოვნილებას იოლად იკმაყოფილებს. მიუხედავად იმისა, რომ მეაბრეშუმეობა ასეთი მნიშვნელოვანი დარგია მეურნეობისა, ის მაინც უყურადღებობის გამო უნუგეშო მდგომარეობაშია. მისი მდგომარეობა ერთ წერტილზე სდგას და წინმსვლელობა არ ეტყობა. მეაბრეშუმეობა რომ არ ვრცელდება და არ უმჯობესდება მიზეზი, ამის პირველ ყოვლისა ის არის, რომ ხალხმა ჯერ კიდევ არ იცის სალი მოვლა აბრეშუმის ჭიისა, არ იცის ეგრეთვე, თუ რა მნიშვნელობა აქვს აბრეშუმის თესლის ადრე შეძენას. მცხოვრებლები აბრეშუმის თესლს ადრე არ იძენენ, უცდიან გაიაფებას, რომ ვერ გაყიდიან, გაიაფებენ, აბა რას იზამენო და ჩვენც მაშინ შევიძენთო. ვაჭარი კი, რომ აბრეშუმის თესლი ჭიად არ გამოვიდეს და მით იაფად არ მოუხდეს გაყიდვა თესლისა, აბრეშუმის თესლიან კოლოფებს ინახავს ნესტიან სარდაფებში და ეგრეთვე საყინულეშიც. ასე ცივ ადგილას შენახვა კი თესლს ახდენს, აფუჭებს და ეს წამხდარი თესლი ვრცელდება მცხოვრებლებში. ხალხი აბრეშუმის ჭიის სალად მოვლაზედაც მწყრალად არის. აბრეშუმის ჭიას უვლიან ცრუმორწმუნეობის მიხედვით, და თუ წა-

უხდა ვინმეს აბრეშუმი, ამას აბრალებენ არა მოუვლელობას, ან სიცუდეს თესლისას, არამედ გათვალვას, რაც ხალხს სწამს. ერთმანეთს რომ უჩვენონ აბრეშუმის ჭია და რჩევა-დარიგება მისცენ, იმის მაგიერ ისინი გათვალვის შიშით უმალავენ ერთმანეთს. აი ასეთ უნუგეშო მდგომარეობაშია მეაბრეშუმეობა მთელ დასავლეთ საქართველოში. მის აღორძინებაზე, მის გაუმჯობესებაზე და გავრცელებაზე არავინ ზრუნავს. მისი მდგომარეობის გაუმჯობესება, გავრცელება და გლეხკაცობის ცოტათი წელში გამართვა კი ერთი იქნება. მიუხედავად იმისა, რომ მეაბრეშუმეობა გლეხკაცთა კეთილდღეობაში ასეთ როლს თამაშობს, მეაბრეშუმეობის ასაყვავებლად მაინც არავითარ ზომებს ვღებულობთ; მხოლოდ ცარიელი სიტყვით კი გლეხკაცთა კეთილდღეობაზე ბევრს ვყვირით, მაგრამ ცარიელი ყვირილით ვის რა გაუკეთებია, რომ ჩვენ გავაკეთოთ. ყველაზედ მეტი ზრუნვა მეაბრეშუმეობაზე სოფლის მასწავლებლებს და მღვდლებს მართებთ, ამათ პირობები ხელს უწყობთ, რომ ამ მხრით ხალხს დაეხმარონ. მათ ხალხი უფრო უჯერის, რადგანაც ცოტათი არის ხალხს მათდამი ნდობა აქვს, ამ ნდობით უნდა ისარგებლონ და უნდა ასწავლონ ხალხს აბრეშუმის მოვლა, უნდა უკითხონ წიგნაკები მეაბრეშუმეობის შესახებ. უნდა გააგებინონ მნიშვნელობა აბრეშუმის თესლის ადრე შეძენისა და სხვა. მაგრამ ჩვენდა სამწუხაროდ არც ერთს ამას არ ჰკიდებენ ხელს სოფლის მასწავლებლები და მღვდლები. 1905 წ. შემდეგ ისეთი ცვლილება მოხდა მათ აზროვნობაში, რომ მას შემდეგ ხალხის სამსახური სისულელედ მიაჩნიათ. ჩვენ სულელური, ბრიყვული ხანა უკვე განვლეთო, გაიძახიან ზოგიერთები. აი ასე დაკნინდა სოფლის მასწავლებელთა უმრავლესობა, რომ ხალხის სამსახური სისულელედ მიაჩნია. ან როგორ არ დაკნინდება სოფლის მასწავლებლები, როდესაც დღეს ყველა სოფლის მასწავლებელია, ვისაც კი შემწე მოეპოება და ცოტაოდენი ანბანი უსწავლია. წელს მოსავალი აბრეშუმისა აქეთ მეტის-მეტად ცუდი იყო. მიზეზი ამისა კი ის იყო, რომ ბევრი ცუდი აბრეშუმის თესლი იყო გავრცელებული ხალხში, ეგრეთვე ცუდმა ამინდებმაც ძრიელ ავნო აბრეშუმს. იმ მიზეზთა შორის, რომელთა გამო აბრეშუმის მოსავალი ცუდი იყო, საპატიო ალაგი უჭერია, რასაკვირველია, აბრეშუმის ჭიის ცრუმორწმუნეობის მიხედვით მოვლას. წელს საზოგადოდ აბრეშუმის ჭია წახდა მაშინ, როდესაც იგი ცახზედ უნდა ასულიყო, ე. ი. როდესაც მასზე ყოველი შრომა დახარჯულ იქმნა. ამ დროს კი აბრეშუმის ჭიის წახდენა მეტის-მეტად საზარალოა. მან მის მომვლელს გარდა იმისა, რომ შრომა ტყუილ-უბრალოდ დაახარჯვინა, აზარალა კიდეც. აზარალა იმიტომ, რომ მომვლელს არ მისცა იმდენი ფული, რამდენიც მან დახარჯა ბჟოლის ფოთლის ყიდვაზე, რასაკვირველია, გონივრული მოვლა რომ ყოფილიყო, ზარალიც ნაკლები იქნებოდა მაგრამ გლეხკაცობის გაჭირვებაზე სხვა დროს როდის შეგვიწუხებია თავი? სხვა დროს როდი შეგვბრალებია, რომ ეხლა შევიწუხოთ, შევიბრალოდ და დავეხმაროთ მას გაჭირვების დროს. რა ჩვენი საქმეა ხალხის დახმარება! განა მეცხრამეტე საუკუნის ჩვენმა მამა-პაპებმა ის არ დაგვიბარეს, რომ იზრუნეთ ჩინ-ორდენების მოპოებისთვის და იმოქმედეთ ისე, რომ უფროსების ყურადღება დაიმსახურეთო.

არც პარკის გაყიდვის საქმეა წესიერად დაყენებული. დასავლეთ საქართველოში ბაზრებზედ გამოაქვთ პარკი. პარკის გამოტანასთან ერთად გამოდიან საოქმედო ასპარეზზედ ვაჭრები, რომელნიც ულმრთოდ ატყუილებენ ხალხს, როგორც ანგარიშში, ისე წონაში. საერთოდ ხალხს პარკის გაყიდვის დროს ყველა ატყუილებს, როგორც წვრილი ისე მსხვილი ვაჭრებიც. ყოველივე ამას კი ყურადღებას არავინ აქცევს და არავინ არც ცდილობს, რომ ლაგამი ამოსდოს ასეთ თავ-გასულ მოქმედებას. თუმც ინსტრუქტორი ბ-ნი იოსებ ქუთათელაძე დადის დასავლეთ საქართველოს პროვინციებში და ისე უნდა მოაწყოს ყოველგან საქმე, რომ ხალხ არ ატყუებდნენ წონაში, მაგრამ რა ქნას, ან რას იზამს მატოდ მარტო ერთი კაცი, როდესაც თანამგრძნობლები ნაკლებ ყავს. ჩარჩ-ბაცაცები ყოველგან მეფობენ, ხალხი ყველგან მოტყუებული რჩება წონაში, ანგარიშში, სოფლის ნასწავლ ხალხს კი ამ დროს გულზედ ხელი დაუკრეფია და გულგრილად შესცქერის ასეთ მოქმედებებს ჩარჩი-ბაცაცებისას.

როგორც ვიცით, საქართველოში პირველ-დაწყებით სკოლებისათვის კავკასიის ნამესტნიკმა სავალდებულოდ გახადა 1881 წ. გამოცემული სამოსწავლო გეგმა. ამ გეგმის მიხედვით რომ სწარმოებდეს სწავლა სკოლებში, მაშინ პირველ წელს მაინც განთავისუფლებული იქნებოდნენ ბავშვები რუსული ენის წერა-კითხვის სწავლებისაგან. თუმცა ეს სამოსწავლო გეგმა სავალდებულოა, ამ გეგმის მიხედვით მაინც არ სწარმოებს სწავლა, ეს კი ხდება ცუდი მასწავლებლების წყალობით, რომლებსაც მაჟნიკოვების შიშით 1881 წ. გამოცემულ სამოსწავლო გეგმაზედ ხელი აუღიათ. მხოლოდ მაჟნიკოვების არ შეშინებიათ ივანდიდის ორ კლასიანის სკოლის მასწავლებლებს და ეგრეთვე დიდი-ჯიხაიშის ორ კლასიან სკოლის მასწავლებლებსაც. ისინი 1881 წ. გამ. სამოსწავლო გეგმის მიხედვით აწარმოებენ საქმეს და როდესაც მათთან შესულა სარევიზიოდ ბ. მაჟნიკოვი, ის განრისხებულა, მაგრამ განრისხებულისათვის შესაფერისი პასუხი მიუციათ და ისე გაუსტუმრებიათ. ნეტამც ყველა სკოლის მასწავლებლები ასე ღირსეულად იქცეოდენ.

ხალხი რომ გაჭირვებულ მდგომარეობაშია, ამაე მტკიცება არ ესაჭიროება. გაჭირვებულ მდგომარეო-

ბაში კი მიტომ არის, რომ მეურნეობა დაეცა. მიწის მუდმივად ცუდად დამუშავებამ მიწა გამოფიტა და გააძუნწა. გლეხის კეთილ-დღეობა კი მიწაზედაა დამოკიდებული. ის მისგან იღებს საზრდოს. ეგრეთვე ხალხი გაალატაკა ერთი-ათად მომატებულმა გადასასადებმა და დარაჯ-მამასახლისების თარეშობამ. დარაჯ-მამასახლისები სოფლის ბატონ-პატრონები არიან. ისინი თავიანთ ნებაზე განაგებენ სოფელს. ერთმა გლეხმა, რომელსაც შევეკითხეთ, თუ რა მდგომარეობაში იყო, შემდეგი მითხრა: „ბატონო, მოსავალი წლითი-წლობით კლებულობს. შემოსავლიანი წყაროები თან და თან გვიქრება ხელიდან. სამაგიეროდ გადასახადებმა კი ტყავი გაგვაძრეს. წინედ რომ მანათს ვიხდიდით, ეხლა მის ალაგას თხუთმეტ მანათს ვიხდით“. ასე მოტყუებით და ძალადობით იყვლიფება სოფელი.

აქილესი.

ბედი მგოსნისა

(გაგრძელება)

დრამა ხუთ მოქმედებად

მოქმედება მესამე.

ს უ რ ა თ ი I

თამროს საწოლი ოთახი.

თამარ. ძილი გამიკრთა... ველი ჩემს მტან-
ლანდი სპეტაკი გამომიქროლებს; | ჯველს...
გადავფრინდებით შორეულს კუნძულს,
დავმღერ და იგიც ხმას ამაყოლებს!

არა მსურს მასთან წყნარი სიმშვიდე,
მე მირჩევნია ღელვა-გოდება,
სულის ვრცელ ზღვაში თავსა დავიხრჩობ,
კუბ.ის შემიკრავს ჩემი ღვთაება!

მიახლოვდება ბინდით მოცული...
მარტო მიბნედილს ვხედავ შავს თვალებს;
ბზის მწვანე ტოტსა არხევს შრიალით,
რაღაც იდუმალს გულით მავალებს!..

ოჰ, ახლობელო, აჩრდილად ქმნილო,
გნახე, საითღა მიეჩქარები?
სხივი მთვარისა შენ ერთს რად გამკობს,
მოდი, მარტო მყოფს ნუ მეკრძალები!

(ფანჯარაში მივა და ბაღს გადაჰყურებს. მთვარის შუქით სახე გაუნათდება)

ჰე, მთვარევ, მითხარ, ლაჟვარდ სივრციდან
ხომ არა ჰხედავ ნიკოს—ჩემს სატრფოს?
სად არის იგი, ან რომელ მხარეს?
ნაღვლიანია თუ გულით ჰხარობს?

(ღრმა ფიქრს მიეცემა, შემდეგ შემკრთალი ხატის წინ ლოცულობს)

ღედაო ღვთისავ! გადმომხედე წყალობის თვალით.
სევდა მიწყლულებს გულს მგზნებარეს სახმილთა
ალით!
ჩემი მიჯნური ნუ განიცდის დამღუპველ ვნებას,
სასოწარკვეთილს ნუ მოაკლებ შენს გამხნევებას!

(რა გაათავებს ლოცვას, დასაძინებლად მივა საწოლთან. დიდი სიჩუმე. მთვარის შუქი სვეტად შემოიჭრება. გარედ ისმის ჩანგურის ხმა და სიმღერა)

ს ი მ ღ ე რ ა

ტურფავ, ტურფავ! თვალთ ცრემლი
გული ჩემი იტანჯება: | მდის,
მე უშენოდ, ჩემო მზეო,
ერთს წამსაც არ მეცოცხლება!

მშვენიერო, ფიქრით მუდამ
შენთანა ვარ, თავს გევლები;
ხან გიკოცნი შავს თვალებსა,
და ხან ისევ მირისხდები!

შენი სიტყვა მანუგეშებს,
გულსა მიგზნებ სიყვარულით;
მრავალ ტანჯულს მაფრთოვანებს
შვებითა და სიხარულით!

თამარ. (გამოეღვიძება) სიზმრად მესმოდა ნაღვ-
ლიანი, მწარე სიმღერა,
მაგრამ არ ვიცი, სადა, როდის, ან რომელ მხარეს?
ნელა ჰქრებოდა განთიადის სხივი ნათელი,
ეთხოვებოდა სიხარული ჩემს სულს მწუხარეს,
გულით მიყვარდა, მხოლოდ ერთსა თავს ვევლებოდი,
ერთს შევეთვისე, შემსჭვალული არ მშორდებოდა,
ვუალერსებდი, თითქოს ამით პასუხს ვაძლევდი,
ეს ნეტარება ვაგლახ! სიზმრად მეჩვენებოდა!
(კვლავ ისმის ბაღში სიმღერა)
ჩუ! კვლავ სიმღერა, არა ვსტყუვდები...
ის არის სწორედ!.. ნაცნობი ხმები!.,

(თამარი აივანზე გავარდება. აქ უცბად სცენა იცვლება. გამოჩნდება ნაწილი ბაღისა, რომელსაც აივანი გადმოჰყურებს. აივანი და კედლები სხვა და სხვა მცენარეებით და ყვავილებით არის შეფოთლილი. ნიკო კედელზე არის მიყრდნობილი და ჩანგურს უკრავს)

თამარ. ვინა ხარ ბაღში? ვინ აჟღერს სიმებს?

ნიკო. აქ დაბლა მე ვარ, მაღლით მფენ სხივებს!

(თამრო დაბლა ჩამოვა და აღტაცებით ყელს მოეჭდობა)

ნიკო. (გულში ჩაიკრავს) ჩემო სიცოცხლევ! კვლავ
შენთანა ვარ!

თამარ. რად არა მნახე? რა რიგ ვნაღვლობდი!

ნიკო. დამნაშავე ვარ... გთხოვ პატიებას!
შენსა ნახვასა მეც კი ვნატრობდი,
მაგრამ მარცხვენიდა მე იგი სიტყვა,
რომლით შევლახე შენი სახელი,
როს ვიგონებდი, გლახ ვლონდებოდი,
მიბნელდებოდა შავად ნათელი.
შენმა წერილმა კვლავ გამამხნევა,
ეჭვი განფანტა, თვალთ ალმიხილა;
დამნაშავე ვარ, გთხოვ პატიებას,
დღეს კვლავ სიამით გული ალევსილა.

ნიკო. (ჰკოცნის) მაშ ჩემი კოცნა, კოცნა მხუ-
სასჯელი იყოს დამნაშავისა! | რვალე

ნიკო. შენ ხარ მზის სხივი, ცით მოწყვეტილი
მაცისკროვნებლად დაბლა შავისა!
აჰა, კვლავ მესმის შენი ხმა ტკბილი,
ნაზი ალერსი წყლულსა ამთელებს;
თრთოლვით შეგყურებ და ვსიამოვნებ,
ვეამბორები შენს თლილსა ხელებს!
ჩვენ მარტოკა ვართ მთელს სამყაროში,
მხოლოდ ყვავილნი შორით გვიმზერენ;
უხრწნელნი ალნი გიკრთიან თვალთა
და ნავსა ვნებისას მიაქანებენ!
ხან იბუნდები, ხან კვლავ ანათებ,
მთვარეც შენ გბაძავს აწ მილეული;
ზეცას მიგაფრენს მსუბუქ ფრთებითა
უკვდავად მქმნელი ძალა გრძნეული.

თამარ. ნანას მიგალობ სიყვარულისას
შენის ალერსით ცეცხლად ანთებულს;
სიამის ქარმა, დე, ასე ჰბეროს
გრძნობათა ტალღას დღეს მიყუჩებულს!
მიმკვდარებულად ბაგე მთრთოლვარე
ციურის ვნებით დაგეკონება;
თვით აკვნესდება, შენც აგაკვნესებს
და ტრფობის წინდად ზედ დაგავკვდება!

ნიკო. ოდეს გაგშორდი, ველად გავიჭერ,
თვით არ ვიცოდი, რას მოველოდი;
ყველი შემძულდა, გულს ღრღნიდა სევდა,
სულს ამძიმებდა სახმილთა ლოდი.
როს ვიგონებდი საამო წარსულს,
ცრემლი დამწველი აჭკნობდა სოსანს;
აჩრდილად მდევდი, ვერ გიშორებდი,
გრძნობის დედოფალს, ნაზ გვირგვინო-
სანს.

თამარ. სთქვი, ამეტყველდი, დუმილით გი-
დაე, შენი ხმა კვლავ მუსიკობდეს; | სმენ!
ახ, რა ტკბილია ასე სიცოცხლე,
რომ ადრე სევდით არა სჭკნებოდეს.
მსურს შევიმოსო მთვარისა შუქით,
ირგვლივ მოვფინო მზისა ნათელი;
შენით ვისუნთქო, შენით ვიცხოვრო,
არც ერთს გვაკრთობდეს შავი ნაღველი!

ნიკო. ყინვამ დააზრო ედემის ვარდი,
მწუხრმა საღამომ შავად დაჰფარა;
მაგრამ გიხილე და უკვე ნორჩი
თავის და ნებით მკვდრეთით ამდგარა!
გადაიფურჩქნა და სურნელს აფრქვევს,
აწ ეშხით დამთვრალს გესაუბრება;
მე შენში ვცხოვრობ, შენ ერთსა გხედავ,
მხოლოდ შენი ხმა სულს ელხინება!
ერთსულ და ერთხორც გარდავიქცევით,
ორ არსებიდან ერთი იზრდება;
სამყარო სულით და დასაბამით
ნათელ გვირგვინით ის გვირგვინდება!
შენზედ მრავალ გზით მიოცნებია,
სიზმრად მინახავს მკრთალი აჩრდილი;
სული უკვდავი თან დაგყოლია
ჩემი შუქმფენი, სხივში აზრდილი.
და ჩამექსოვე, ვით სურო ხისა,
განუყრელი ხარ, ვითა ოცნება;
ჩვენსა გარეშე არა არსებობს,
ჩვენით ნათელ ჰყოფს შავი ცხოვრება.
ჩემი სულთა დგმა დიდხანს გეძებდა,
გზას მილობავდა მე დაბრკოლება;
უშენოდ ყოფნა სიკვდილი იყო,
არც იფურჩქნოდა ბედნიერება.
და ბნელს, სევდიანს ღამესა გპოვე,
გიცან, შენ იყავ ჩემი ცხოვრება;
მსწრაფლ შეგიყვარე, მსწრაფლ შეგითვისე,
ვიგრძენ, რაც იყო ჭეშმარიტება!
შეერთებულნი, გაბრწყინებულნი
მივქრით სიამით ნეტარებისკენ;
ლაჟვარდსა ტალღას აპობს პიდალო,*)
თან გზას მიგვიკვლევს შვების ზღვისაკენ.
იქ ვარსკვლავები მიცინარობენ,
ქსელს გაგიბამენ, გიმღერენ ნანას;
ნისლი შეგმოსავს ნეტარებისა
და დაშორდები ბედკრულ ქვეყანას.

თამარ. (ნიკოს მკერდზე მიყრდნობილი, სიამით დამთვრალი და თითქოს მიძინებული ამბობს სიტყვებს)
და ეგე ზღვა ხომ შენი სულია,
იქ შემაცურე, მსურს დავემყარო;
ვარდის ნაკადი გადმოჩქრიალებს,
შუა გზად ერთვის ვნებისა წყარო.

ნიკო. (ოქსინოს ბადეს გადააფარებს და მხურვალედ დაეკონება)
აწ გიხაროდეს უზესთაესო,
მარად შემკულო ტრფიალებითა;
სინათლის რძალო ქალწულთა შორის,
ამაღლებულო ციურ ვნებითა!..

ა. შანშიაშვილი.

ფ ა რ დ ა

ც ა მ მ ო ი ქ უ შ ა

ცამ მოიქუშა, დასჭექა მძლავრად,
ჩამოაბნელა მთლად არე მარე,
მზეს აეფარა შავი ღრუბელი,
აღარა ნათობს შუქ-მოელვარე.

—

ელვამ ღრუბლებში გაიკრიალა,
მეხი დაუშვა ცეცხლის მფრქვეველი,
ჩანსთქა უფსკრულში, დაგვისამარა
ტურფად შემკული წალკოტი, ველი.

გალ. შიხიანი.

*) ნავის მოსასმელი ნიჩაბი.

ცრუპენტელა

სცენა ერთ მოქმედებად, გადმოკ. ვალ. გუნიას მიერ.

კოლა. . . . .
ნინა, ამისი ცოლი . . . .
ტასო. , ... ,

→ მოქმედება სწარმოებს ჩვენ დროში ←

სცენა წარმოადგენს სასტუმრო ოთახს საა-გარაკო სახლში, მარცხნივ კარებია ბაღში, მარჯვნივ და უკანა კედელთანაც კარებია ოთახებში. ფარდის ახდამდე მოისმის ლაპარაკი.

I

(ნინა მაგიდასთან სავარძელში, კოლა დადის ოთახში და დრო-გამოშვებით გაჩერდება ხოლმე ცოლის წინაშე)

კოლა. შენ თითონ დამეთანხმები, რომ მე აქ არავითარი ბრალი არა მაქვს.

ნინა. როგორ თუ ბრალი არა გაქვს? კარგია თქვენმა მზემ!

კოლა. რა უცნაური ადამიანი ხარ! ერთი მითხარ. რა ვქნა? ხომ ვერ გეტყვი: „გასწი, ჯანაბას შენი თავი"-მეთქი!.. ეგ ხომ სისაძაგლე იქნება. ამას კაცი კი არა, ვირიც არ იკადრებს!..

ნინა. შენ რომ დაგიჯეროს კაცმა, მითამ სულაც არა იყოს-რა!

კოლა. ჰო და რა იყო, ან და რა უნდა იყოს? შეუვარებული ხომ არა ვარ?

ნინა. ალბად მიზეზი რამე უნდა იყოს, რომ აგრე გამუდმებით შენთან არის?

კოლა. კარგი და მე რა ვიცი! მე რომ მკითხავ, მითამ რაო? თითონ იმასა ჰკითხო? შენი მეგობარია, შენ უფრო არ გეტყვის! შეიძლება მართლაც მოვწონდე და უყვარდე, მაგრამ ჩემთვის კი არა უთქვამს რა.. და საზოგადოდ უნდა მოგახსენო, რომ მე მაინც და მაინც არც ისე ვენატრები მასთან სიხარულს. ათასში ერთხელ თუ გამოველაპარაკები! (სიჩუმე) მართლა, ისკი რად გავიწყდება. რომ დღე მუდამ ვასო სარიძე ჩვენსა ან უშენოდ რომ ვსთქვათ, შენსა ჰგდია!!

ნინა. ეგ სულ სხვა საქმეა!

კოლა. როგორ თუ სხვა საქმეა? თუ მართალი გინდა, სწორედ ისეთივე საქმეა, რომელიც შენ აგრე გაპილპილებს!..

ნინა. ჯერ ერთი, რომ ვასო სარიძე—ტასო ნუ გგონია. ვასო ჭკვიანი და დინჯი კაცია, მასთან საუბარიც არა თუ სასიამოვნო, სასარგებლო არის!

კოლა. ჰო და მე დალოცვილო, რა იცი, იქნება მე ტასოსთვის მეტად ჭკვიანი, დინჯი და სასარგებლო მოსაუბრეც ვიყო... ვინ იცის, იქნება სწორედ მაგისთვის მოვსწონვარ!

ნინა. შენ კარგად იცი, რომ მე სულაც იმ ქალებთაგანი არა ვარ, რომელნიც ქმრებს დალატობენ! ღმერთმა დამიფაროს და რომ რამე მომხდარიყო ამისთანა, შენ პირველი შეიტყობდი ამას, რადგან თვითონ მე გეტყოდი ყოველისფერს!..

კოლა. კარგი ნუგეშია თქვენმა მზემ! არა რა დიდი ბედნიერებაა—პირველად დარომ მე გავიგებ! ვიცით ქალბატონო ეგ ოინები: პირველად კი არა, ან სრულებით ვერას იგებენ ქმრები, ან არა და სულ ყველაზე გვიან შეიტყობენ, როდესაც ცოლის ამბავი მთელ ქვეყანას მოედება! ბარაბაშიძის ამბავი მაინც რად დაივიწყე: ქმარმა მოასწრო ცოლს საყვარელთან, ზედ თავზედ წაადგა და ცოლი კი გაიძახის: იმიტომ არა გითხარი-რა აქამდის, რომ პატიოსან კაცად გიცნობდი და შენი შეწუხება მერიდებოდაო; რა კარგია და რა გულკეთილობა და რა დიდი მზრუნველობაა პატიოსან ქმარზე!!.

ნინა. შენ სიტყვას ბანზე ნუ აგდებ! მე შენ ტასოზე გეუბნები და შენ კი ვიღაც ოხერ ბარაბაშიძეზე მომიყევი!

კოლა სწორედ თუ გინდა, იმ შენმა ტასომ ისე გამიჭირა საქმე, რომ ლამის არის ჯანაბამდის გავისტუმრო! ტასო და ტასო! ტასო და ტასო!.. გამიჭირე სწორედ!)მივა ცოლთან) არა, ერთი მითხარ, როგორ არა გრცხვენიან? ხომ კარგად იცი, რომ ძალზე მიყვარხარ! (ხელს გამოართმევს) აბა შენ თითონ დააკვირდი, რა პაწია და ლამაზი ხელებია (ჰკოცნის). განა შესაძლებელია, რომ სხვას ვისმეს ჰქონდეს ამისთანა თათები!

ნინა. ოჰ, რა გაიძვერა ხარ, კოლა, რომ იცოდე!

კოლა. მე და გაიძვერა? აბა, ეგ სათქმელია? მე მუდამ ისა ვარ, რაც გულში ვარ: კეთილი და სამართლიანი!

ნინა. (წამოდგება) მითომ?

კოლა. შენც არ მომიკვდე! აბა რისთვის გეტყვი ტყუილებს. (მოხვევს ხელს წელზე) მოიცა! ჰა კიდევ. ჰა კიდევ შენა შენის ეჭვიანობისთვის (კოცნის რამდენჯერმე და მიაცილებს კარებამდე. ნინა გადის.)

კოლა. (მარტო რჩება რამდენჯერმე ჩუმად გაივლის ოთახში და მერე ერთბაშად ჩამოეშვება სავარძელზე მაგიდასთან) აი ასე გადის თითქმის ყოველი დღე! ეშმაკმა იცის ჩვენი თავი: არა თუ დღე, მთელის თვეობით, წლობით, მთელი სიცოცხლე სულ ცრუობ და ცრუობ! ცრუობ დილიდან საღამომდე, საღამოდან დილამდე და ასე დაუსრულებლად მთელი სიცოცხლე! მერე ვისი ბრალია? რა თქმა უნდა სულ ქალებისა! ქალები რომ არ იყვნენ, ბევრ-ბევრს იცრუებდი წელიწადში ერთი ოცჯერ, ოცდა ათჯერ, სულ ბევრი ორმოცჯერ.., ეხლა კი სიცრუისაგან ისე მოგექანცება ენა, რომ საღამოზე ძლივს და სუნთქავ, სასა ამომშრალი გაქვს! დაიძინებ და თან გიხარიან... ეხლა მაინც მოისვენებ სიცრუისაგანო, მაგრამ ხშირად იზმარშიც ცრუობ და ცრუობ! აი დალახვროს ღმერთმა! (წამოდგება და დადის ოთახში) მაგრამ ეგეც კია... მოდი და ნუ იცრუებ, თუ კაცი ხარ! ყოველი ქალი მხოლოდ ამას გაიძახის: მართალი მითხარი და მართალიო, სხვა რამდენიც გინდოდეს მოატყუოდე, მხოლოდ მე კი მართალი მითხარიო! ამასობაში, რა თქმა უნდა, ყველას ატყუილებ, ყველასთან ცრუობ! ეხლა სიცრუეც არის და სიცრუეც, ზოგი სიცრუე ისეთი უნდა იყოს, რომ სიმართლესაც გადააჭარბოს, თორემ ვინ დაგიჯერებს? — მაშინათვე დაგიჭერენ და ვაი შენი ბრალი! ჰო და ამდენ ახალ და ახალ სიცრუეს ნიჭი არ უნდა თუ? დიახაც რომ ნიჭი უნდა მარჯვე და მოხერხებულ სიცრუეს!.. ეს კი კაცმა უნდა აღიაროს, რომ სიც-

რუე დიდი სისაძაგლეა... უსინდისობაა! ცრუობ და არ სწითლდები, სტყუი და თითქოს არაფერიაო. ღამის ჩვეულებად გადაგექცეს, ძვალსა და რბილში გაგიჯდეს, თითქოს მემკვიდრეობითი სნეულება იყოს!.. კარგი მოგონებაა ეგ მემკვიდრეობითი თვისება. რაც გინდა სისაძაგლე ჩაიდინო, შეგიძლიან სულ მემკვიდრეობითი თვისებას მოახვიო თავზე. მოჰკლავ ვისმე, პაპა უნდა იყოს დამნაშავე, მოიპარავ რასმე — დიდი დედა! მეცნიერებაც ასეთი უნდა: ყველასათვის ხელსაყრელია!.. (ბაღიდან აჩქარებული ნაბიჯით შემოდის ტასო და მივა კოლასთან.)

II

კოლა. (მიეგებება ტასოს და უნდა მოეხვიოს) ოჰ, ტასოს გაუმარჯოს!

ტასო. (მოშორდება გაბრაზებული) ხელი შორს! არ მომეკაროთ, ეგ ალერსი სხვას უკმიეთ, მე კი თავი დამანებეთ!

კოლა. რა ამბავია? კიდევ მოხდა რამე თუ?

ტასო. აბა რა უნდა მომხდარიყო?.. სულ არაფერი! თქვენის აზრით, ხომ ეგ «სულ არაფერია» (გაჩერდება კოლას წინ და მნიშვნელობით ეტყვის) ოჰ, რა სულმდაბალი და საძაგელი ბრძანებულხართ? თქვენ კიდევ ბედავთ და ალერსით მოდიხართ ჩემთან?! მერე როდის? მას შემდეგ, რაც თქვენ!..

კოლა. (აწყვეტინებს) რის შემდეგ? ერთი გამაგებინე რიგიანად! რა დაგიშავე? ვის რა ვირი მოვპარე? (ხელების ქნევით დადის ოთახში).

ტასო. რა დაგიშავეთ, მეკითხებით კიდევაც? (გესლიანად) აბა, რა თქმა უნდა, რა უნდა დაგეშავებინათ??. ოდონდაც დიდი სულელი ვიყავი, რომ გენდეთ და დაგიჯერეთ!!. გესმით, მე ვიყავი სულელი და რეგვენი, მარტო მე!.. თქვენ ბრალი არა გაქვთ.. თქვენ ხომ არასოდეს არასფერში არა გაქვთ ბრალი! თქვენ ხომ წმინდა კაცი ბრძანდებით!

კოლა. (გაჩერდება) ერთი რიგიანად გამაგებინე, ტასო, რაშია საქმე!?

ტასო. (თითქმის კივილით) თქვენ კიდევ ბებიებაზე ლაპარაკობთ? მერე, არა გრცხვენიათ მაინც? ოჰ, რა ურცხვი რამა ყოფილხართ? Нахалъ!

კოლა. ღვთის გულისათვის, ნუ ყვირი ეგრე! აი დაგლახვროს ღმერთმა... ცოლი შინ არის! ყრუ ხომ არა გგონია?.. არა, რომ არაფერსა ჰგავს! უთუოდ მაშინ მოუნდება ყვირილი და წივილი, რადცა ყველგან ყურს გვიგდებენ! მითამ რაო? გინდა ალიაქოთი ასტეხო, თუ რა არის? აბა, რას გაჩუმდი! იკივლე, იწივლე, იყვირე! მორთე ყვირილი და!.. ეშმაკმა იცის თქვენი თავი! ფუ! (გაბრაზებული დადის)

ტასო. ოჰ, შეგეშინდათ განა? შიშის ზარმა აგიტანათ? ახია, ახია ჩემზე! სიყვარულმა დამაბრმავა, თორემ განა რა ძნელი გამოსაცნობი იყო თქვენისთანა ორპირი, ორგული, მატყუარა და ცრუ-პენტელა კაცი! (სიჩუმე) ოჰ, რა თქმა უნდა, ჩემის მხრით დიდი სისულელეა, რომ ასე გავანჩხლდი, მაგრამ ეგეც კია. განა თქვენ ყურადღებას აქცევთ ჩემს საანჩხლეს!.. თქვენთვის ეგ ხომ სულ ერთია. მაგრამ ეგ სიცრუე რაღა საჭირო იყო?! ძალას ვინ გატანდათ??. (თან და თან ღელდება) რად მატყუებდით,ვითომც გიყვარდით? რად ცრუობდით! მე ყველაფერს ავიტან სიცრუის მეტსა! გესმით. ყველაფერს, ხოლო ნუ მომატყუებს კაცი! (ყვირის) გესმითსა, ცრუეს ვერავის ვერ ვაპატიებ! ვერა და ვერა!..

კოლა. (გაჩერდება) ნუ ყვირი, ნუ წივი მეთქი! გიჟია სწორედ, რას ვერ მაპატიებ!? განა გითხარი, რომ არ მიყვარხარ მეთქი!? შე ხომ კარგად იცი, თუ რა რიგად მიყვარხარ?!

ტასო. არ გაბედოთ! ეხლა მაინც ნუ სცრუობთ! მე თქვენგან ვითხოვ ერთხელ და სამუდამოდ გადაჭრილი პასუხი მომცეთ; გიყვარვართ თუ არა?.. ნუ გეშინიანთ, მე არც თავს დავიღრჩობ, არც თავს მოვიწამლავ, არც წყალში გადავარდები! ნუ გეშინიანთ მეთქი? მე მხოლოდ მართალი მინდა ვიცოდე, სრული სიმართლე!

კოლა. (ბრაზ მორეული.) აკი გითხარი, რომ მიყვარხარ მეთქი!

ტასო.. სცრუობთ! მატყუებთ. თქვენ არ გიყვარვართ!

კოლა. (მოქანცული). ოჰ ღმერთო-ჩემო! არა, ეგ მეტის მეტია! (თან და თან ბრაზი ერევა), შე დალოცვილო: რაღად მეკითხები, თუ კი დარწმუნებული ხარ, რომ აღარ მიყვარხარ. რაღად მეკითხები ერთსა და იმავეს ათასჯერ?

ტასო. რაღად მატყუებდით მეთქი?

კოლა. (ყვირის). მე შენ არ მომიტყუებიხარ!!.

ტასო. რაღას. ყვირით? როგორა ბედავ, რომ ჩემზე ყვირით?!

კოლა. (ბრაზიანი დადის), მე არა ვყვირი, მაგრამ შენი საქციელი კაცს გააგიჟებს, გაალეცებს!..

ტასო. როგორ? მე გაგიჟებთ თქვენა, თუ თქვენ მე მაგიჟებთ? საოცარია სწორედ! აბა რა: მთვარიანი ღამე... ორნივე მარტოკა ბაღში ჭიკჭიკობენ... ღუღუნებენ... პოეზიაა მაშ რა ჯანაბაა! ოჰ, რა სიმდაბლეა, რა საზიზღრობაა! ეხლა მაინც გაიგეთ! ან იქნება გაბედოთ და უარი სთქვათ?-თქვენს ურცხვობას ხომ არ გაუჭირდებარა!.. მე ჩემის საკუთარის თვალებით დავინახე, რომ თქვენ და თქვენი ცოლი ბაღში ეღაქუცებოდით და ლოკავდით ერთმანეთს!

კოლა. ფუ! რა მარგალიტი სიტყვებია და; ლოკავდით და ელაქუცებოდით?

ტასო. უკაცრავად, ეალერსებოდით და ჰკოცნიდით ერთმანეთს! ჰკოცნიდით!!

კოლა. დასწყევლოს ეშმაკმა, რაც უნდა კოპწია კოხტა ქალი იყოს, რაკი იჭვნეულობის მორევში შეტოპავს, მაბაშ! ქაჯს დაემსგავსება ხოლმე!..

ტასო. უკაცრავად! მე სულაც არ ვიჭვნეულობ, ძალიან არ მოგაქვთ თავი!.. ეგ მე ეჭვიანობით კი არ მოსდის, არამედ თქვენის წრეს გადასულის სიცრუით, ტყუილებით და ცრუ-პენტელობით!

კოლა. (ბრაზიანად). ერთი გამაგებინე, რაში ვცრუობ. (ტასო მტრულად უყურებს, თითქოს ეს არის უნდა მოვკლავო), ოჰ და მიბრძანე, რაში მოგატყუილე! რაში და როდის?!

ტასო. (აიჩხლად), არა, არც ასეთი შუბლ გარეცხილი მეგონეთ.. (შეუტევს და მუშტს მოუღერებს) ოჰ, როგორ მძულხართ, როგორ მეზიზღებით! ეხლა ჩვენ შორის ყოველივე გაწყდა, ყოველის ფერი გათავდა!

კოლა. ჭო და მადლობა ღმერთსა, რო გათავდა, რადგან ამით ჩემს დაწიოკებასაც ბოლო მოეღება!

ტასო. (გააფრთებული) აჰჰა? მაშ გიხარიანთ? გიხარიანთ კიდეც?! (ერთს ნაბიჯს გადასდგამს წინ შეტევით). ჯერ ნუ ხარობთ! მაშ საქმე იმ ზომამდე მივიდა, რომ გიხარიანთ კიდეც? არა ერთხელ ამას შეხედეთ და! უხარიან!!. მაშ კარგი და პატიოსანი!.. (მოტრიალდება წასასვლელად). მაშ კეთილი და პატიოსანი (ისევ მობრუნდება კოლასაკენ), მაგრამ ეს კი იცოდეთ, თუ თავი მოვიწამლე, ეგ მხოლოდ თქვენი ბრალი იქნება! ცოდვა თქვენს კისერზედ იქნება, დიახ თქვენს კისერზე! (ტირის).

კოლა. მოდი და გაუძელ ამისთანა დავიდარაბას!... უბედურებაა, მაშ რა ოხრობაა!! არა, ერთი ამიხსენი, რა მოხდა ისეთი? რა მომაკვდინებელი ცოდო ჩავიდინე? ცოლს რომ ვაკოცე? ამიტომ ასტეხე ასეთი აურ-ზაური!. სიგიჟეა სწორედ! (დადის სწრაფად ოთახში).

ტასო. რომ არ გყვარებოდათ, არც აკოცებდით!

კოლა. (დადის უფრო გაფიცხებული) აბა რა თქმა უნდა! ფუ!

ტასო. განა რომ თვითონაც მეთანხმებით?

კოლა. (ერთბაშად შეჩერდება) რაში გეთანხმები? რაში?! არა, ერთი მიბრძანეთ ჩემი ცოლი—ცოლია ჩემი თუ არა? მაშ მე უფლება არა მაქვს, რომ ცოლს ვაკოცო? და თუ ვაკოცე, სისაძაგლე და სიმდაბლე ჩავიდინე განა? თქვენის აზრით, ეგ მომაკვდინებელი ცოდვაა და ბოროტმოქმედებაა? აბა, ერთი მითხარი. მამიდა შენს რომ კოცნი, განა ძრიელ გიყვარს? ან თუ ამხანაგს კოცნი - გიყვარს და გიყვდები? განა ვისაც ჰკოცნიან უთუოდ სიყვარულით ჰკოცნიან! შეეჩვივნენ და მიტომ კოცნიან: ეგ ჩვეულებაა და არა სიყვარული! კაცი დაეჩვია სიცრუეს პირით, ტუჩებითაც ცრუობს. რა არის აქ საკვირველი?! (დადის აქეთ-იქით)

ტასო. ბატონი ბრძანდებით, ჰკოცნეთ რამდენიც გენებოთ, ხოლო ჩემთან კი ნუ ჰკოცნით!

კოლა. მერე ვინ ოხერმა იცოდა. რომ შენ თვალყურს გვადევნებდი!

ტასო. თავს ნუ იგდებთ. მე არც თვალი მიდევნებია და არც ყური დამიგდია თქვენთვის!? ის კი არა კმარა, რომ დამტანჯეთ, ეხლა კიდევ შეურაცხმყოფთ? მე ჩემთვის მოვდიოდი ხეივანში და უცაბედად დაგინახეთ!..

კოლა. მეორეჯერ ნუ გაივლი და უცაბედად ვერაფერს ვერ დაინახავ!

ტასო. მაშ როგორც, სჩანს მე თქვენ გიშლით? (გაანჩხლებული შეუტევს) აბა, კიდევ რამე ბრძანეთ! კიდევ მაკადრეთ რამე! აბა, აბა?! (კოლა ჩუმად არის და გაჩქარებული დადის). აბა რას გაჩუმდით? სთქვით რაღა! მაშ მე გიშლით? გიშლით განა?

კოლა (ცოტათი შეშინდება და უმწეოდ წამოიძახებს), ოჰ, ღმერთო, ნეტა როდის მოეღება ამას ბოლო? (მივა ახლო და შთაგონებით ეტყვის), ადამიანო, კარგი, კმარა! აბა ერთი დაფიქრდი, რასა ჰგავს შენი საქციელი?.. შენის თავისა შეგრცხვეს მაინც!..

ტასო. არ მომეკაროთ ახლო, არ მოხვიდეთ! არ გაბედოთ!

კოლა. ტასიკო, კარგია, დამშვიდდი! აბა ეგენი რამ არ გიხდება! შენ ხომ გონიერი ხარ (ხელებს დაუჭერს და უნდა აკოცოს)

ტასო. (ხელებს გამოსტაცებს), გვიანღა გახლავთ, გვიან! თავი დამანებეთ!

კოლა. რა მახლავს გვიან? (უნდა წელზე ხელი მოხვიოს, ქალი არ ნებდება. მათ შორის ბრძოლაა ჩუმი) ოჰ, რა მოუფიქრებელი რამა ხარ ხან და ხან. აბა განსაჯე ყოველისფერი, თითონვე აწონ-დასწონე! (წაავლებს წელზე ხელს და დაიჭერს მაგრად), აბა შენ თითონ იფიქრე, აბა სხვაფრივ როგორ უნდა მოვიქცე? რაც უნდა იყოს, ხომ ჩემი ცოლია. ასეა თუ ისე, მაინც ცოლია!.. ჩვენ შორის სხვა არა იყოს რა, კავშირია.— შეჩვევა... რაც გინდა, ის უწოდე... ამ ჩვეულებას... ამ შეჩვევას თავისი ძალა აქვს...

ტასო. (უნდა გამოუსხლტეს), ერთის წლის განმავლობაში ესრე ძრიელ შეეჩვიეთ ერთმანეთსა? განა დასაჯერებელია? აბა კიდევ იცრუეთ რამე, აბა! (თავის დახწევას ვერ ახერხებს). გამიშვით მეთქი, გამიშვით!

კოლა. ხომ, გითხარი არ გაგიშვებ მეთქი! აბა ყური დამიგდე, ჩუმად იყავ. დაჯექ; ნუ იმტვრევი! აბა ერთი მიპასუხე, რატომ არ უნდა იყოს ეგ შეჩვევა. აბა როგორ აგიხსნა... მომითმინე!.. ყური დამიგდე. ზოგს რასმე კაცი მალე შეეჩვევა ხოლმე; ზოგს კი გვიან, ზოგს კი სრულებით ვერა! აი მაგალითად... მაგალითად... ბოზბაშს ან მაწონს თუნდა ასი წელიწადი ხვრიპო, ვერ შეეჩვევი და კარგს კახურს ღვინოს ერთს საათში შეეჩვევი და მერე თავსაც ვერ დაანებებ!

ტასო. (ერთბაშად წამოუვარდება და გესლიანად ეტყვის) ოჰ; ძლივ! არ გადმოუაჭრეთ ყოველისფერი! მაშ თქვენი ცოლი კარგი კახური ღვინოა! ხოლო მე კი... მე... ბოზბაში ვარ ანუ მაწონი? რა კარგია და!

კოლა. გამიგონე მეთქი!

ტასო. არა თქვენ ეს მითხარით, მე რა ვარ?

კოლა. (წამოდგება) ქალო, განა ის გითხარი, რომ ჩემი ცოლი კახური ღვინოა მეთქი!

ტასო. მაშ თქვენ კარგის კახურის ღვინითა თვრებით და ტკბებით. მე კი საწყალმა არა ვიცოდირა!..

კოლა. ქალო გაიგე, რომ ეგ მაგალითად მოვიყვანე...

ტასო. მაშ ეგრე რაღა? კახური ღვინო... კახური ღვინო!...

კოლა. მაგალითი... მხოლოდ მაგალითი...

ტასო. კახური ღვინო!

კოლა. (მოთმინებიდან გამოსული) თფუ! დაგწყევლოს ღმერთმა! (დარბის ოთახში ბრაზიანი) არა, მეტი ღონე არ არის. თავი უნდა ჩამოვიღრჩო და ჩამოვიღრჩობ კიდეც! არც საკვირველია! განა აგრე შეიძლება ცხოვრება! (სიჩუმე) ოჰ, რა მრისხანედ და თან რა გესლიანად მიყურებთ? (მივა ერთბაშად ტასოსთან და ძალზე აღშფოთებული მკაფიოდ ეტყვის), არა, როდის ვსთქვი—რომ ჩემი ცოლი კახური ღვინოა და თქვენ კი მაწონი მეთქი! როდის? მე მხოლოდ მაგალითი მოვიყვანე. გესმის თუ არა, შე გადარეულო, მხოლოდ მაგალითი! (შეყურებს ტასოს) აი ჯანიც გავვარდეთ ყველას! (ისევ ფიცხლავ დადის ოთახში).

ტასო. (სიჩუმის შემდეგ) ნეტა რაღამ გაგაცოფიანათ აგრე?

კოლა. არა, მეტი აღარ შემიძლიან?! აღარ შემიძლიან მეტი!

ტასო. რა აღარ შეგიძლიანთ?! რა თქმა უნდა, ჩემთვის საწყენი იყო, რომ ასეთი შედარება წამომიყენეთ თვალწინ!

კოლა. (ყვირის) შედარება კი არა, მაგალითი მეთქი, მაგალითი!

ტასო. მერე რას ყიყლიყობთ! მე ყურთა სმენა საუცხოვო მაქვს!

კოლა. ყიყლიყობა კი არა ლამის ყროყინიც დავიწყო!

ტასო. სულ თქვენი ბრალია: განა არ შეგეძლოთ, რომ დაგემშვიდებინეთ.

კოლა (გაჩერდება) არა, ერთი გამაგებინეთ, როდისღა უნდა დამემშვიდებინეთ, როცა შემოვარდი თუ არა, მაშინათვე ლანძღვა-გინებას მიმართე! (დადის)

ტისო. მე თქვენ სულაც არ გამილანძღიხართ!

კოლა. (დაცინვით) აბა რა თქმა უნდა, პირიდან სულ თაფლი ამოგდიოდა!

ტასო. ხოლო თუ შემომელანძღეთ, ეგ რა ჩემი ბრალია!.. ძალზე აღშფოთებული ვიყავ!

კოლა. მიტომაც აგრე ტკბილის და ალერსიანის სიტყვით არ შემამკე! არა, ერთი მესხედი მაინც რომ მეთქვა შენთვის ისა, რაც შენ მაკადრე, ხომ მეორედ მოსვლას დააყენებდი! კარგია, თქვენმა მზემ: ჩვენ ვერაფერი ვერ გაგვამართლებს და თქვენ კი მუდამ მართლები ხართ! და ამის შემდეგ რაღაც თანასწორობაზე ტიტინებენ! სახელმწიფო საბჭოშიაც ხმას თხოულობენ. მადლობა ღმერთს, რომ 17 ოქტომბრის მანიფესტი ტყუილი გამოდგა. რის თანასწორობა... თქვენ ათასჯერმეტი უფლება გაქვთ, ვიდრე ჩვენ...

ტასო. კარგია, ერთი ნუ გასჭიანურეთ!

კოლა. სულაც არ არის კარგი! მოგვდგებით ხოლმე ჯორის ტლინკებივით და სულ ტყავს გვაძრობთ! და თუ ლანძღვა-გინება დაგვიწყეთ, მთელი ზღვაც ვერ გაგვრეცხავს!.. ხოლო თუ ჩვენ რაიმე წამოგვცდა, მაშინათვე ყალყზე დგებით! „აბა როგორ იქნება, ჩვენ ქალები ვართო!“ თუ ცოლმა გაიგო, რომ ქმარი ღალატობს, მთელს ქვეყანას მოსდებს ხოლმე ამ ამბავსა და თავის თავს მსხვერპლად და ანგელოზად დასახავს: წმინდა და უცოდველი ვარო!.. ხოლო თუ ცოლმა გვიღალატა—ჩვენ პირი წყლით უნდა ავივსოთ: აბა როგორ იქნება—ქალი შეცდა, სუსტი ქმნილებაა, უნდა გვებრალებოდეს და ჩვენ სულელები ხმასაც არ ვიღებთ... ცოლები კი ამით სარგებლობენ და გააქვთ და გამოაქვთ.! ჭაი და ჭაი!

ტასო. არა, ბოლოს აღარ მოეღება თქვენს მჭერმეტყველობას?

კოლა. ეგ მჭერმეტყველობა კი არა, სრული ჭეშმარიტებაა! ეხლა მეც გავათავე! სულ ერთია: მგლის თავზე რამდენიც გინდა სახარება იკითხე, არა გამოვა. მარჯვენა ყურში შედის, მარცხნიდან გამოდის!

ტასო. აი ზრდილობიანი ლაპარაკიც ამასა ჰქვიან!

კოლა. რა ზრდილობა, რის ზრდილობა!! შენ მე სულელი და რეგვენი მიწოდე ახი ვირო მიძახე და მე კი «შენ გენაცვალე» გიმეორო?! (ჩამოჯდება).

ტასო. ძალად თავს ვერავის ვერ შევაყვარებთ! გატყობთ, რომ არ გიყვარვართ. რა გაეწყობა!

კოლა. (დაქანცულის კილოთი) შენ კიდევ ძველს ლექსს მოჰყევი? იცი, ტასო, ეხლა რაც გინდა სთქვა, ჩემთვის სულ ერთია: კრინტსაც არ დავძრავ, მიტომ რომ ძალზედ მომბეზრდა ჩემი თავიცა და სხვებიცა! ცოლთან ჩხუბი და ალიაქოთი, შენთან გამწარებული ჩხუბი და ალიაქოთი! იქ მოიბოდიშე, აქ მოიბოდიშე. კმარა, მეტი არ შემიძლიან! მე ეხლა მარტო ჩემი თავიღა მიყვარს....

ტასო. ახალი ამბავი არა სთქვა? თქვენ მუდამ უკიდურესი ეგოისტი ბრძანდებოდით!

კოლა. თქვენ კი. რა თქმა უნდა, თვით განხორციელებული სათნოება იყავით, თქვენი ქალი კი არა, მაჯლაჯუნა ხართ, ჭო მე და ჩემმა ღმერთმა (სიჩუმე. კოლა პაპიმოუკიდებს და სწევს)

ტასო. (უყურებს დიდხანს. ნეტა რას იჯღანებით?

კოლა. არც ვიჯღანები და არც არაფერი (ეწევა) თამბაქოს ვეწევი და ვბოლებ! (სიჩუმე),

ტასო. (ნელ-ნელა მივა კოლასთან) მართლა გიყვარვარ თუ არა?

კოლა. (მოუსვენარის და ოდნავ გაბრაზებულის ხმით). რა თქმა უნდა, მიყვარხარ! განა რამდენჯერ უნდა გაგიმეორო, რომ მიყვარხარ!

ტას. (ჩამოჯდება სავარძლის ნაპირზე. სადაც ზის კოლა), კარგია ეხლა ნუ ჯავრობ. ნუ იბუტები! (სიჩუმე) ხომ პაწია ხელები მაქვს, აჰა (ატრიალებს ხელებს კოლას თვალწინ და ბოლოს ტუჩებთან მიადებს)

კოლა. დიახ, პაწია და კოხტა ხელებია!

ტასო, იცი, ჩემი ხელთათმანი ხუთი ნომრისაა, ხოლო ფეხსაცმელი 33.

კოლაა (მოწყენით), მართლა?

ტასო. (ცოტათი მოღრუშული) შენ მგონი ყურსაც არ მიგდებ!

კოლ. (იმავე კილოთი), როგორ არა, ყურს გიგდებ!

ტასო. (წამოხტება). ზედ არ გეტყობა! (ანჩხლად) განა არ ვიცი, შენი ცოლი რომ ყოფილიყო, ისე წამოპილპილდებოდი, რომ მთლად ალერსად იქცეოდი. ხელებსაც დაუკოცნიდით, ფეხსაც და დაუჩოქებდით კიდეც (კოლა მოუთმენლობის ნიშნად თავს გაიქნევს) რას ტოკავთ? განა ტყუილს ვამბობ? (გაშტერებით შეჰყურებს) ოჰ, რა ეგოისტი, რა გულქვა ადამიანი ხართ! მხოლოდ ეხლა დავრწმუნდი, თუ რა კაცი ბრძანებულხართ?!

კოლა. (წამოდგება), ოჰ ღმერთო! ქალო, მაკმარე! (მოხვევს წელზე ხელს და მიუახლოვდება სახეს) ღმერთი, რჯული, ძალზე დავიღალე, მაკმარე, თუ ღმერთი გწამს (აკოცებს) ღმერთს გეფიცები, ძალზე დავიქანცე! ოჰ, რა ჯიუტი ქალი ხარ! (შემოდის ნინა და დაინახავს რა ამათ, შეჩერდება კარებში.

კოლა. (შეშინებული). ვაიმე, ცოლი! (ხელს გაუშვებს ტასოს, რომელიც სწრაფად გადახტება მეორე მხარეს)

ნინა. მაშ აგრე? ამიხსენით, რას ნიშნავს ესა?

კოლ. (დაეყრნდნობა ორივე ხელით მაგიდაზე—სახე ხალხისაკენ აქვს). რას ნიშნავს? (მხრების აწევით), ეს იმას ნიშნავს, რომ ამ ჟამად მე გავები... მხოლოდა თქვენ... თქვენ კი ჯერ არ გაბმულხართ მახეში! (ჩუმი სცენა)

ვ. გუნია.

ფ ა რ დ ა.

რედაქტ.-გამომცემელი: **პეტ. სურგულაძე.** განყოფ. „**პროგრესის**“ სტამბ. სასახ. ქ., თ.-აზნ. სახლი